



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

ეკონომიკისა და  
სამართლის  
სერია

3 . 1989



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ეკონომიკისა და  
სამართლის  
სერია

СЕРИЯ  
ЭКОНОМИКИ И  
ПРАВА

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს  
Журнал основан в 1980 году  
გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Выходит раз в 3 месяца



3. 1989

გამომცემლობა „მეცნიერება“  
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

თბილისი  
ТБИЛИСИ



**ს ა რ ე დ ა კ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა:** ა. გუნია (რედაქტორი) ო. გამყრელიძე, მ. გველესიანი, გ. თოღუა, თ. ლილუაშვილი, გ. ნადარეიშვილი, ი. ფუტყარაძე თ. შავეგულიძე (რედაქტორის მოადგილე), თ. ჩიკვაძე (რედაქტორის მოადგილე), ლ. ჩიქავა.

პასუხისმგებელი მდივანი ა. შენგელია

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:** Гуния А. Л. (редактор), Гамкредидзе О. К., Гвелеснани М. И., Тодуа Г. С., Лилуашвили Т. С., Надареишвили Г. Н., Путқарадзе Я. В., Чикава Л. Л., Чикваидзе Т. Н., (зам. редактора), Шавгулидзе Т. Г. (зам. редактора).

Ответственный секретарь А. Л. Шенгелия

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“,  
ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1989 № 3

---

რ ე დ ა კ ც ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი: თბილისი, 380007, მახარაძის ქ. № 14

Адрес редакции: Тбилиси, 380007, ул. Махарадзе, 14

ტელეფონი 93-22-60

---

გადაეცა წარმოებას 24.7.89; ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.10.89; შეკვ. № 2049,  
ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 9.45  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7.29; საღ-გატარება 10.15 უე 04467 ტირაჟი 750;

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### ეკონომიკა

ა. ბუნია, საქართველოს სსრ სამეურნეო-ანგარიშო-ინჟინერულ-ეკონომიკის (მოდელის) საკითხისათვის	5
ბ. თოქაჯიშვილი, დ. შავლონაშვილი, ხელფასის, საცალო ფასებისა და მოთხოვნა-მოწოდების საკითხისათვის	20
ს. ბაღდინა, საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯთა განსაზღვრისათვის სოციალისტური დროს	31
თ. ჯოლონაძე, ეკონომიკური დროის არსი	42
ს. პავლიაშვილი, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი და დონე რესპუბლიკის ელექტროტექნიკურ მრეწველობაში	53
ვ. ბიჭიაშვილი, მშენებლობის მატერიალური ბაზის და მისი განვითარების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისათვის	61
გ. ჟულაძე, დ. ტაყაიანი, შობადობის სოციოლოგიური კვლევის შესწავლა საქართველოში	69
დ. ბერიძე, ფასწარმოქმნა და შრომითი რესურსების გადასახდელი	73

### სამართალი

ბ. ზოიძე, ქართული ავიოგრაფია და მემკვიდრეობითი სამართალი	83
ბ. კაციტაძე, ირანის ისლამური რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოზე რელიგიური ზედამხედველობის საკითხისათვის	89
ჟ. ხატურანიანი, სამოქალაქო სამართლის დაცვით ფუნქციების სისტემა	94
ს. გოგინაძე, „ველმოწიფის კარის გარიგების“ ერთი ადგილის გაგებისათვის (სააჯო კარი) 100	100

### რეცენზია, ინფორმაცია, კომენტარი

მადლობა კონკრეტული და კონსტრუქციული კრიტიკისათვის	107
---	-----

## СОДЕРЖАНИЕ

### ЭКОНОМИКА

А. Л. Гуния, К вопросу о концепции (модели) перехода Грузинской ССР на хозрасчет . . . . .	5
М. Д. Токмазишвили, Д. А. Шавлохашвили, К вопросу о заработной плате, розничных ценах, спросе и предложении . . . . .	20
С. И. Галдина, К вопросу о трактовке понятия общественно необходимых затрат труда при социализме . . . . .	31
Т. Г. Джолохава, Суть экономического времени . . . . .	42
С. П. Павлиашвили, Уровень и темпы роста производительности труда в электротехнической промышленности республики . . . . .	53
Н. С. Бичишвили, К определению экономической эффективности материальной базы строительства и ее развития . . . . .	61
Г. Е. Суладзе, Л. С. Тепнадзе, Социологическое изучение рождаемости и ее положение в Грузии . . . . .	69
А. А. Беридзе, Ценообразование и плата за трудовые ресурсы . . . . .	73

### ПРАВО

Б. И. Зоидзе, Грузинская агнография и наследственное право . . . . .	83
Г. Д. Кацитадзе, К вопросу религиозного надзора над законодательным органом Исламской республики Иран . . . . .	89
Д. Г. Хецуриани, Система охранительных функций гражданского права . . . . .	94
С. А. Гогинава, О толковании одного места «Распорядка царского двора» «Сааджо кари») . . . . .	100

### РЕЦЕНЗИЯ, ИНФОРМАЦИЯ, ХРОНИКА

Благодарность за конкретную и конструктивную критику . . . . .	107
--	-----

### ავთანილ გუნია

#### საქართველოს სსრ სამეურნეო-მანგარო-შიანობაზე გადასვლის კონცეფციის (მოდელის) საკითხისათვის

წარმოდგენილი საორიენტაციო კონცეფცია საქართველოს მეურნეობრავი ანგარიშიანობის პრინციპებზე გადასვლის შესახებ\*, ჩვენი აზრით, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს კანონის შემუშავებისას რესპუბლიკის სამეურნეო ანგარიშიანობაზე გადასვლასთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხზე მუშაობისას გათვალისწინებული იყო „მოკავშირე რესპუბლიკებში მათი სუვერენული უფლებების, თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების გაფართოების საფუძველზე ეკონომიკის და სოციალური სფეროს ხელმძღვანელობის გარდაქმნის ზოგადი პრინციპების“ პროექტი, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში და მოსკოვის ოლქში შექმნილი საბუთები დაკავშირებული ამ საკითხთან, აგრეთვე საკავშირო და საქართველოს პრესაში გამოქვეყნებული მასალები.

საორიენტაციო მოდელი საწყისი პერიოდისათვის „ეკონომიკის (მეურნეობის) მართვაში საქართველოს სსრ თვითმმართველობაზე და თვითდაფინანსებაზე (სამეურნეო-ანგარიშიანობის პრინციპებზე) გადასვლის ეკონომიკური და სოციალური საფუძვლების“ კანონის კონცეფციისათვის.

მუხლი 1. მიზანი სუვერენული უფლებების გაფართოების საფუძველზე ეკონომიკური (სამეურნეო-ანგარიშიანობის) ურთიერთობების დანერგვა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყველა დონეზე, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მისი უდაბლესიდან უმაღლეს საფეხურებამდე (ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა, საოჯახო და ბრიგადული ნარდობა, იჯარა, რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიშიანობა) და ამ ურთიერთობათა განმტკიცებამ ხელი უნდა შეუწყოს საწარმოო ძალების და სოციალისტური საქართველოსათვის დამახასიათებელი საწარმოო ურთიერთობის მრავალნაირი ფორმის განვითარებას, საქართველოს სსრ ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე მიღწევების საფუძველზე. მათ ხელი უნდა შეუწყოს რესპუბლიკის ბუნებრივი და შრომითი რესურსების რეალური პოტენციალის რაციონალურ და ეკონომიურ გამოყენებას, რესურსდამზოგი ტექნოლოგიის დანერგვით და უმაღლესი ხარისხის პროდუქციის წარმოებით (სამუშაოებით, მომსახურებით), ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფით და ბუნებრივი გარემოს შენარჩუნებით, ე. ი. თვითმმართველობა და თვითდაფინანსება საბოლოოდ უნდა გადაიქცნენ საქართველოს სსრ მოსახლეობის ცხოვრების და სოციალურ-კულტურული დონის ამაღლების რეალურ სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორად.

\* შემოკლებული ვარიანტი. სრული ტექსტი გაეგზავნა 29.06.89. საქართველოს სსრ მთავრობის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობას.

თვითმმართველობის და თვითდაფინანსების მაქსიმალური გაფართოებით საჭიროა ჩამოყალიბდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის კომლექსური განვითარების ეკონომიკური მექანიზმის მოქმედების სფერო. ამასთან აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ნაციონალურ-ადმინისტრაციული ფორმირებისა და ნაციონალური ჯგუფის თავისებურებები და ინტერესები, წარმოებული პროდუქციის ხარისხი უმაღლეს საკავშირო და მსოფლიო დონეზე გასვლის ორიენტაციით, შიგარესრესპუბლიკური რეგიონების, როგორც საქართველოს სსრ ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნებისა და ამოცანების ორგანული ერთიანობა. იმავე დროს საჭიროა მკვეთრად გაიმიჯნოს რესპუბლიკური ცენტრის და ადგილობრივი ორგანოების ფუნქციები მათი საქმიანობის სფეროს უფლებებსა და მოვალეობას შორის, უპირატესად მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე დაყრდნობით. განუწყვეტლივ უნდა მტკიცდებოდეს (მათ შორის რესპუბლიკის ორგანოებიდან ზოგიერთი ფუნქციის, უფლების და პასუხისმგებლობის გადაცემის საშუალებითაც ადგილობრივ ორგანოებისადმი) რესპუბლიკის მილიან და შიგარესრესპუბლიკურ რეგიონების მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ორგანული კავშირი და დამოკიდებულება მათი მეურნეობრივი (წარმოებრივი, შრომითი) საქმიანობის შედეგებთან.

საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობა, როგორც მოკავშირე რესპუბლიკისა, გამომდინარეობს თავისუფალი მოკავშირე სოციალისტური რესპუბლიკის ფედერაციული კავშირის არსიდან, სამართლებრივი სოციალისტური სახელმწიფოს რესპუბლიკური და საერთო-საკავშირო სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების და პრინციპების ერთიანობიდან.

სხვადასხვა ახის საკუთრების სოციალისტური ფორმა განაპირობებს საქართველოს სსრ ეკონომიკის სოციალისტურ ხასიათს მილიანდ და, კერძოდ, მისი მართვის ფორმებს და ამის საფუძველზე გონებრივი, სეკატრო, სამრეწველო და სხვა ხასიათის ყველა პროფესიის თავისუფალი განვითარებას საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ინტერესებისათვის. მუხლი 2. საკუთრება. რესპუბლიკის თვითმმართველობასა და თვითდაფინანსებაზე გადასვლისას ეკონომიკური ურთიერთობანი განისაზღვრება რადიკალური ეკონომიკური რეფორმის ძირითადი პრინციპებით, რესპუბლიკა ეკონომიკური და სოციალური სფეროების მართვის ახალი ფორმებით და მეთოდებით, თანასაკუთრების (თანამფლობელობის) უფლების აღიარებით, ე. ი. საქართველოს სსრ სახალხო დემუტატთა საბჭოს მიერ მიწის, წიაღისეულის, ტყის და რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო (საერთო სახალხო) საკუთრების სხვა ობიექტების (ზღვის ნაპირის ჩათვლით) ფლობას, განგებას და გამოყენების უფლების აღიარებას, მისი უშუალო პასუხისმგებლობით, მათ მოვლა-პატრონობასა და გამრავლებაზე.

წარმოების ძირითადი საშუალებების თანასაკუთრება (თანამფლობელობა) სინამდვილეში რეალურად უნდა უზრუნველყოფდეს მეურნის ბატონ-პატრონის გრძნობის განტკიცებას. ამიტომ სახელმწიფო (საერთო სახალხო) საკუთრება ყველა მის დონეზე საწარმოთა კოლექტივები, სასოფლო, სადაბო, რაიონული და სასაღაპო საბჭოები, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის აო-ს სახალხო დემუტატების საბჭოები უნდა იყვნენ თანამესაკუთრენი (თანამფლობელები) როგორც საერთო სახელმწიფო (სსრკ), ასე-

ვე საერთო რესპუბლიკური (საქართველოს სსრ). სახელმწიფო ფორმირებათა ტერიტორიაზე არსებული ობიექტებისა. იმავე დროს უნდა ფლობდნენ განაგებდნენ, გამოიყენებდნენ და უშუალო პასუხისმგებელნი იყვნენ ადგილობრივი (რეგიონული) დანიშნულების წარმოების ყველა ძირითადი საშუალებების მოვლასა და გამარავლებაზე, რეგიონის მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნის, მისი მოსახლეობის ცხოვრების და კულტურული დონის ამაღლებასათვის (მუნიციპალური საკუთრება), იმავდროულად, სოციალისტური საკუთრების ფორმები შიგარესპუბლიკური რეგიონების ყველა დონეზე, შეიძლება მრავალრიცხოვანი იყოს — სახელმწიფო (საერთო სახალხო), საკოლმეურნეო-კოოპერაციული, მცირე კოოპერაციული, პირადი (როგორც წარმოების საშუალება დამხმარე მეურნეობისათვის სოფლის მეურნეობაში, ასევე ინდივიდუალურ შრომით საქმიანობაში), შერეული (სოციალისტური, სოციალისტურ ქვეყნებთან ან მოკავშირე რესპუბლიკებთან პარტნიორობის დროს, სოციალისტურ-კაპიტალისტური, კაპიტალისტურ ქვეყნებთან პარტნიორობის დროს). შესაძლოა — კერძო კაპიტალისტურიც, მათი საწარმოების არსებობით თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში, წერილი კერძო საკუთრება კანონით დადგენილ საზღვრებში და სხვა. სოციალისტური საკუთრების ყველა ფორმის სტრუქტურაში (საერთო სახალხო, საკოლმეურნეო — კოოპერაციული, მცირეკოოპერაციული, პირადი და სხვა) რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის წარმოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობის ხასიათის განმსაზღვრელს წარმოადგენს საერთო-სახალხო საკუთრება სსრც და საქართველოს სსრ.

მიწის პატრონის გრძნობის გასაძლიერებლად, მისი როგორც სახელმწიფო საკუთრების გადაცემა კოლმეურნეობებისადმი, მუდმივ სარგებლობაში, აგრეთვე, იჯარით ხანგრძლივ მფლობელობაში (მემდგომი თაობებისათვის მათი შესაძლო გადაცემით, მისი რაციონალური გამოყენების პირობით) გარანტირებული უნდა იქნეს სახელმწიფო კანონით ორმხრივი უფლებებისა და მოვალეობის საფუძველზე. ძირითადი სოციალისტური პრინციპის შენარჩუნებით, რომელიც გამორიცხავს მიწის ყიდვა-გაყიდვას.

გარკვეულწილად ამგვარი საკუთრებითი ურთიერთობა, საკუთრების სპეციფიკური ხასიათის და მისი მოხმარების, მოვლის და გამარავლების გათვალისწინებით, შეიძლება გავრცელებულ იქნეს მატერილური წარმოების სფეროს ყველა დარგზე, რესპუბლიკის მთელ სახალხო მეურნეობაზე, კოლექტიურ, საოჯახო ნარდობაზე, და იჯარაზე გადასვლის დროს.

განვითარებადი სოციალისტური საზოგადოების თანამედროვე ეტაპზე სსრც-ში, საკუთრებისადმი ამგვარი დამოკიდებულება ხელს უნდა უწყობდეს რესპუბლიკაში ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოებას, გაღრმავებას, გერგილიანობას, ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და პასუხისმგებლობის გაძლიერებას სოციალისტური საწარმოო ძალების და წარმოებრივი ურთიერთობების განვითარებას. სოციალისტური საკუთრების რეალიზაციის ფორმებთან დიფერენციაცია ხელს უნდა უწყობდეს საკუთრების სუბიექტის და ობიექტის ერთიანობის გაძლიერებას საზოგადოებრივი წარმოების პროცესში, მწარმოებლისა და საზოგადოების ინტერესთა ერთიანობას, პასუხისმგებლობის (პატრონის გრძნობის) ამაღლებას არსებული საწარმოო ძალების უფრო რაციონალური და ეკონომიური გამოყენებისათვის, რესპუბლიკის ეკონომიკურ,



მეცნიერულ-ტექნიკური და შრომითი პოტენციალის ეფექტიანობის ამაღლებას, მისი სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის დაჩქარებას, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდას, მის სულიერ განვითარებას.

ამიტომ, წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საკუთრების ყველა ფორმის გაძლიერება, გამრავლება და განვითარება, აგრეთვე პასუხისმგებლობა მათ მოვლაზე წარმოადგენს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური ურთიერთობების სრულყოფის გადამწყვეტ ამოცანას საზოგადოებრივი წარმოების ყველა დონეზე. საკუთრების ფორმების მრავალსახეობა გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ დაცვით შესაბამისა (კანონით) მეწარმული საქმიანობის თავისუფალი უზრუნველყოფით და საქონლურ-ფულადი, საბაზრო შიგარესპუბლიკური ტერიტორიულ-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებით, აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან, მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან ეკონომიკური პარტნიორობით და კაპიტალისტურ და განვითარებად ქვეყნებთან საგარეო ეკონომიკური ურთიერთობებით სავაჭრო რესპუბლიკურ (გლობალურ) დაგეგმვასთან ერთიანობაში, რომელიც უზრუნველყოფს რესპუბლიკის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებას, გაცვლას, განაწილებას და მოხმარებას.

მუხლი 3. საქართველოს სსრ სახალხო სამეურნეო კომპლექსი. ყველა საწარმო, სამეურნეო და სხვა ორგანიზაცია და დაწესებულება, რომლებიც რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობენ (თავდაცვითი და ზოგიერთი სხვა განსაკუთრებული საკავშირო მნიშვნელობისა) მიეკუთვნება რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო კომპლექსს და მათ მართავს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სსრ რესპუბლიკური ორგანოები.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გადგილებული ყველა საწარმო, დაწესებულება და ორგანიზაცია მათი უწყებრივი დაქვემდებარებისაგან დამოუკიდებლად ვალდებულია დაიცვას საქართველოს სსრ კანონმდებლობა. რესპუბლიკის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის სოციალური მნიშვნელობა გამოიხატება შიგარესპუბლიკური რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის გამოთანაბრებაში. მოცემული დონის გამოთანაბრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეალური გამოხატულებას წარმოადგენს განვითარების თანამედროვე ეტაპზე რესპუბლიკის ყველა მოქალაქისათვის (როგორც მინიმუმი) საარსებო მინიმუმის მიღწევა და საბინაო პრობლემის გადაწყვეტა, აგრეთვე რესპუბლიკაში შექმნილი ეროვნული შემოსავლის (ხელფასი, პენსიები, სტიპენდიები და სხვა) განაწილება წარმოებრივი და სხვა შრომითი საქმიანობის საბოლოო შედეგების, თითოეული მუშაკის შრომითი წვლილის მიხედვით. საქართველოს სსრ კანონი „ეკონომიკის (მეურნეობის) მართვაში საქართველოს სსრ თვითმმართველობაზე და თვითდაფინანსებაზე (სამეურნეო ანგარიშიანობის პრინციპებზე) გადასვლის ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები“. როგორც ძირითადი სახელმწიფოებრივი საბუთი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის გაერთიანებისა, ორგანულად უნდა იყოს დაკავშირებული სხვა კანონმდებლობებთან, რომლებიც საქართველოშია მიღებული და მოქმედებენ, კერძოდ შემდეგ საკითხებზე: ბუნების გარემოს დაცვის მოსახლეობის კეთილდღეობის სოციალური უზრუნველყოფის, მიგრაც-

ციის და სხვა დემოგრაფიული პროცესების, მომხმარებლის, მშრომელთა ინტერესების, ჯანმრთელობის დაცვის, და განათლების, დახლვევის, სახელმწიფო და სახალხო კონტროლის და სხვა სამართლებრივი კანონმდებლობები, რომელთა ერთიანობა უნდა გახდეს რეალური საფუძველი საქართველოს სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ეფექტური ფუნქციონირებისა. მზარდაჭერა უნდა ჰპოვოს რესპუბლიკის მშრომელთა პირადმა (ჯგუფურმა) თაოსნობამ და გერგილიანობამ ერთდროულად, იკრძალება 16 წლამდე მოზარდთა და ქალთა შრომა ღამის საათებში, მძიმე და მავნე სამუშაოებზე.

ამავე მიმართულებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს საბჭოთა კომერსანტების (მენეჯერების) მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება როგორც რესპუბლიკაში, ასევე მის საზღვრებს გარეთ, მათ შორის საზღვარგარეთის კაპიტალისტურ ქვეყნებში.

მოცემულ ეტაპზე, შესაძლებელია საჭირო გახდეს შედარესპუბლიკური სოციალისტური ბაზრის უფრო აქტიური ფორმირება:

ა) სახალხო მოხმარების საგნებზე.

ბ) წარმოების საშუალებებზე.

გ) ფინანსებზე (ობლიგაციების, აქციების, და სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვება და რეალიზაცია).

დ) შრომაზე (დახმარების უზრუნველყოფით პირველი სამი თვის განმავლობაში საშუალო თვიური ხელფასის შენარჩუნებით, ხოლო შემდგომ სამი თვის განმავლობაში კი რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასის არანაკლები 50-60%-ის შენარჩუნებით).

მუხლი 4 ურთიერთობები საწარმოებს, სამეურნეო ორგანიზაციებსა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს შორის.

რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაადგილებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის ეკონომიკური (სამეურნეო-საინჟინერო) ურთიერთობები, მათი უწყებრივი დაქვემდებარებისაგან დამოუკიდებლად მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან უნდა ემყარებოდეს გრძელვადიან სტაბილურ ეკონომიკურ ნორმატივებს. საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებში (რომლებიც ჯერ კიდევ საკავშირო დაქვემდებარებაში დარჩებიან) სამართლიანი იქნებოდა მოგება განაწილდეს შემდეგი პროპორციებით (ნორმატივებით) არანაკლებ 20-25% გადაირიცხოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში, 20-25% უწყებრივი დაქვემდებარების შესაბამის საკავშირო სამინისტროს, ხოლო 50-60% საწარმოს ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შესავსებად.

გარდა ამისა, სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელი საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში ეკონომიკური ურთიერთობანი უნდა ყალიბდებოდეს წარმოებული პროდუქციის სახის მიხედვით. თუ წარმოებული პროდუქცია უპირატესად რეალიზდება რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ასეთი საწარმო რესპუბლიკის დაქვემდებარებაში უნდა იყოს. თუ არა, მაშინ რესპუბლიკის უფლება ეძლევა სახელმწიფო დაკვეთისა, როგორც ამ საწარმოში, ასევე საკავშირო დაქვემდებარების სხვა საწარმოებში, რათა აწარმოოს სახალხო მოხმარების საგნები წარმოებული პროდუქციის 10%-ის ფარგლებში.



### მუხლი 5. დამოკიდებულება მოკავშირე რესპუბლიკებს შორის.

რესპუბლიკის გადასვლამ სამეურნეო ანგარიშთან დაკავშირებული პრინციპებზე უნდა მივიყვანოს არსებით ხარისხობრივ და სტრუქტურულ ძვრებთან ეკონომიკაში, კერძოდ, შიდა რესპუბლიკურ საქონელგაცვლაში. რესპუბლიკათშორის ეკონომიკურ, ასევე მეცნიერულ-ტექნიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში უნდა დადგინდეს პარტნიორული, ხანგრძლივი (შეიძლება ხანმოკლეც-ცალკეულ პრობლემათა გადასაწყვეტად) სახელშეკრულებო ურთიერთობები რომლებიც განაპირობებს ორივე მხარის ეკონომიკური (ასევე ეკოლოგიური) პრობლემების ეფექტიან გადაწყვეტას. მიღწეული უნდა იყოს ხანგრძლივი, გარანტირებული, რესპუბლიკათშორისი საქონელგაცვლა დადებითი (აქტიური) ბალანსის საფუძველზე. საქონელგაცვლა საქართველოს სსრ-სა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის უნდა ხდებოდეს სახელშეკრულებო ფასებით — ექვივალენტობის პირობებში.

### მუხლი 6. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები.

საქართველოს სსრ-ს შესვლა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში არ ზღუდავს მის სუვერენულ უფლებებს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში. ამიტომ საგარეო საქონელბრუნვა უნდა გაფართოვდეს როგორც სოციალისტურ, ისე კაპიტალისტურ ქვეყნებთან და პირველ რიგში მზა პროდუქციის ექსპორტის საფუძველზე (კონკურენტუნარიანი პროდუქციის) მიზანშეწონილია რაციონალურად გაფართოვდეს სამეცნიერო-საწარმოო კავშირებუ საზღვარგარეთის ფორმებთან და ორგანიზაციებთან, ორგანიზებული იქნას ერთობლივი საწარმოები, სამეცნიერო გამოკვლევები, ახალი ტექნოლოგიის დახერხვა, აგრეთვე ურთიერთდანიტერესებული ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაც. რესპუბლიკას უფლება აქვს დამოუკიდებლად დადოს სავაჭრო ხელშეკრულებები საზღვარგარეთის ნებისმიერ ქვეყნებთან.

საგარეო ეკონომიკური საქმიანობა შეიძლება განვითარებული იქნეს ნებისმიერი ფორმებით, რომლებიც ყველაზე ხელსაყრელი და მიზანშეწონილი იქნება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

### მუხლი 7. ურთიერთობა საკავშირო ორგანოებთან.

საკავშირო ორგანოებთან ურთიერთობა იქნება საკუთრების სახელმწიფო (სსრკ) საერთო სახალხო ფორმის საფუძველზე, სადაც საქართველოს სსრ გამოდის როგორც თანამესაკუთრე (თანამფლობელი) საერთო საკავშირო მნიშვნელობის ძირითად წარმოების საშუალებებზე და როგორც მესაკუთრე რესპუბლიკური დანიშნულების ძირითად წარმოების საშუალებებზე, რომელიც მდებარეობს რესპუბლიკის ტერიტორიაზე (გარდა საკოლმეურნეო კოოპერაციული, მცირე კოოპერაციისა და პირადი საკუთრებისა) საწარმოო-ეკონომიკური (მათ შორის ბიუჯეტური) ურთიერთობა მყარდება თანასწორუფლებიანი პარტნიორობისა და ხანგრძლივი ეკონომიკური ნორმატივების საფუძველზე. მიზანშეწონილია სსრკ ბიუჯეტში საბიუჯეტო ანარაჩებები დაწესდეს არა უმეტეს 5-პროცენტისა საქართველოს სსრ-ს ბიუჯეტიდან. საწარმოო-ეკონომიკური კავშირები საერთო საკავშირო ორგანოებთან, ისე როგორც

მოკავშირე რესპუბლიკებთან განპირობებული არსებული და მუდმივად გაფართოვებადი და სიღრმისეული ეკონომიკური ურთიერთობებით. საქართველოს სსრ სახალხო სამეურნეო კომპლექსში.

### მუხლი 8. შიგარესპუბლიკური ეკონომიკური ურთიერთობები.

ეკონომიკური ურთიერთობები რესპუბლიკურ ორგანოებსა და აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს შორის იგება ტერიტორიული სამეურნეო ანგარიშობის პრინციპებზე — ყველა ძირითადი ეკონომიკური კატეგორიის მიხედვით (საკუთრებითი ურთიერთობა, ხანგრძლივი სტაბილური ეკონომიკური ნორმატივები, ასევე მეურნეობრივი ხელშეკრულებები, ერთობლივი პარტნიორობა საწარმოების ცალკეულ სახეებზე, სამუშაოებზე, მომსახურებაზე და სხვა). მათ შორის უნდა ჩამოყალიბდეს აგრეთვე შესაბამისი საბიუჯეტო ურთიერთობებიც. რაც შეეხება ეკონომიკურ ურთიერთობებს მოცემული რეგიონის შიგნით, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებს შორის, რაიონებსა და რაიონული დაქვემდებარების ქალაქებს შორის, სასოფლო და სადაბო საბჭოებს შორის, აქაც ეკონომიკური ურთიერთობა უნდა აიგოს გამომდინარე ტერიტორიული სამეურნეო ანგარიშობის პრინციპებიდან. ყველა საწარმო და სამეურნეო ორგანიზაცია, რომელიც მოცემულ ტერიტორიაზე მდებარეობს, იმყოფება სრულ სამეურნეო ანგარიშზე, ხოლო მათი ურთიერთობა მართვის ადგილობრივ ორგანოებთან ეფუძნება გრძელვადიან, სტაბილურ ეკონომიკურ ნორმატივებს.

სანიმუშო სქემა მოგებიდან ანარიცხებისა (და საწარმოო ფონდებზე გადასახადის) საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს და ორგანიზაციებში. „საწარმო—რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი“, გადასახადი მიწაზე, წყალზე შრომითი და სხვა ბუნებრივ რესურსებზე“ — საწარმო—ადგილობრივი ბიუჯეტი (ქალაქი, რაიონი, სასოფლო, სადაბო საბჭოები).

გადასახადი მოგებიდან (და საწარმოო ფონდზე გადასახადი) რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში, — „საწარმო—რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი“, გადასახადი მიწაზე, წყალზე შრომით რესურსებზე და სხვა ბუნებრივ რესურსებზე — ადგილობრივ ბიუჯეტში.

საწარმოს მოგებიდან ანარიცხები (საწარმოო ფონდებზე გადასახადი), აგრეთვე მიწაზე, წყალზე, შრომით რესურსებზე და სხვა რესურსებზე გადასახადი ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებიდან უნდა დადგინდეს ადგილობრივი დაქვემდებარების სოფლების, დაბების, და საქალაქო საბჭოების ბიუჯეტიდან ანარიცხების ნორმატივები შესაბამისი რაიონის ბიუჯეტში, გარდა ამისა რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებიდან, ავტონომიური რესურსებიდან და ავტონომიური ოლქის ბიუჯეტიდან ნორმატივები შეიძლება იყოს არა უმეტეს 5-6%-ისა (დიფერენციაციით სახელმწიფო — აღმინისტრაციული ფორმირებების ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით).

თუ მიღებული იქნება, რომ რესპუბლიკური ორგანოების დაქვემდებარებაში საწარმოები დადგენილი ნორმატივებით ვალდებული იქნებიან გადაირიცხონ მოგების ნაწილი საკავშირო ბიუჯეტში, მაშინ მიზანშეწონილია საწარმოს მოგება განაწილდეს ასეთი პროპორციებით 60-70% საწარმოს, 25-35% რესპუბლიკურ ბიუჯეტს და 5%-მდე საკავშირო ბიუჯეტს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის და ადგილობრივი ბიუჯეტების შეფარდება მიზანშეწონილია იყოს შემდეგ ფარგლებში:

სახელმწიფო ბიუჯეტი: 70-75 (არა უმეტესი) ადგილობრივი ბიუჯეტი 25-30% (არა ნაკლები)

(ეს თანაფარდობა შემოსავლების მიხედვით 1988 წ. იყო 66,3-33,7% 1987 წ. 64,4—35,6%) მიზანშეწონილია, რომ სახალხო დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს ჰქონდეთ დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რომელიც არ შევა შემდგომი ბიუჯეტის შემადგენლობაში (რესპუბლიკურ, საქალაქო, სარაიონო ბიუჯეტ-ში).

მუხლი 9. თ ვ ი თ და ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ა .

ეროვნული შემოსავალი — რესპუბლიკის თვითდაფინანსების ეკონომიკური საფუძველია. მისი წარმოება უნდა აღემატებოდეს მის მოხმარებას, ანუ გარანტირებული უნდა იქნას სოციალისტური ვაფართოებული აღწარმოების ეკონომიკური კანონზომიერების მუდმივი მოქმედება, ეროვნული შემოსავლის წარმოების სწრაფი ზრდა მის მოხმარებასთან შედარებით. ამან რეალურა ზეგავლენა უნდა მოახდინოს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის ხვედრითი წილის ზრდაზე მის ეროვნულ შემოსავალში (1986 წ. საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის ხვედრითი წილი მის ეროვნულ შემოსავალთან მიმართებაში შეადგენდა 35,6%, 1987 წ. — 40,2%, 1988 წ. — 41,7%) ის, მოცემულ ეტაპზე არ უნდა იყოს მისი სიდიდის 50%-ზე ნაკლები. (თუმცა, შემდგომში, მომავალში, სამეურნეო ანგარიშიანობის, თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების განვითარებასთან, საბიუჯეტო დაწესებულებების და სამეურნეო ორგანიზაციების რიცხვის, სახალხო მეურნეობის და უპირველეს ყოვლისა მატერიალური წარმოების სფეროს დარგების განვითარებისათვის საბიუჯეტო ასიგნებანის ხვედრითი წილის შემცირებასთან, საკუთარი სახსრების ხარჯზე ვაფართოებული აღწარმოების დაფინანსებაში ამ უკანასკნელის ხვედრითი წილის ზრდასთან ერთად, სახალხო მეურნეობის დაფინანსებაზე ბიუჯეტის ხვედრითი წილი შემცირდება, შემცირდება მისი ხვედრითი წილიც ეროვნულ შემოსავალში).

აქედან გამომდინარე უნდა დაზუსტდეს (დადგინდეს) საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული და მოხმარებული ეროვნული შემოსავლის და ერთობლივი ეროვნული პროდუქტის ნამდვილი სიდიდე.

ეროვნული შემოსავლის და ასევე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების ამდაგვარი თვისებრივი ძვრები ორგანულად არის დაკავშირებული ეკონომიკაში სტრუქტურულ ცვლილებებთან. მათ უნდა ჰქონდეთ როგორც დარგობრივი, ისე ტერიტორიული ხასიათი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რესპუბლიკისათვის პრიორიტეტულ და უფრო მეტად ეფექტურ დარგებს და წარმოებას როგორც მრეწველობაში, ასევე აგროსამრეწველო კომპლექსში. მრეწველობაში ისეთი ტრადიციული დარგების განვითარებასთან ერთად როგორიცაა კვებისა და მსუბუქი მრეწველობა, პრიორიტეტული ხასიათი უნდა ჰქონდეს მანქანათმშენებლობას, კერძოდ კვებისა და მსუბუქი მრეწველობისათვის ჩარხების, დანადგარების და მოწყობილობების წარმოებას, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობას,

გამომდინარე საქართველოს ბუნებრივი პირობებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების სპეციფიკიდან, ხელსაწყოთმშენებლობას და გამოთვლით ტექნიკას, კურორტებისა და ტურიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებისათვის მოწყობილობების წარმოებას. შეიცვლება საგარეო საქონელბრუნვის სტრუქტურაც მთლიანად, პრიორიტეტული განვითარება უნდა მიიღონ იმ დარგებმა, რომლებიც უზრუნველყოფენ, რესპუბლიკის ეკონომიკის ეფექტიანობის, მისი მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას და რესპუბლიკური და საერთო საკავშირო სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების ამსახველი შრომის სოციალისტური საზოგადოებრივი დანაწილების ამოცანების შესრულებას.

საბოლოო ჯამში რესპუბლიკის ხარჯების დაფარვა უზრუნველყოფილი უნდა იქნას უმრავლესად მის ტერიტორიაზე გაადგილებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა მთელი ფინანსური საქმიანობის ეფექტიანობით და საბოლოო შედეგებით, გამომუშავებული შემოსავლების ხარჯზე, მსგავსად ამისა ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ფორმირებათა (ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების, რაიონების, სადაბო და სასოფლო საბჭოების) ხარჯების დაფარვა მათ ტერიტორიაზე გაადგილებულ ყველა საწარმოს და ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ფინანსური საქმიანობის და გამომუშავებული შემოსავლების ხარჯზე დადგენილი სტაბილური, ხანგრძლივი ეკონომიკური ნორმატივების თანახმად, გამომდინარე ადგილობრივი ხელისუფლების და მმართველობის ორგანოებთან საწარმოთა, სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ და კოოპერაციის შესახებ სსრ კავშირის კანონით, დადგენილი ურთიერთდამოკიდებულებიდან. ამისათვის უზრუნველყოფილი უნდა იქნას სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ტერიტორიაზე როგორც რესპუბლიკათშორისი ისე შიდა-რესპუბლიკური (რეგიონალური და დარგობრივი) ჰორიზონტალური კავშირების განვითარებისა და სრულყოფის, ეკონომიკურ (სამეურნეო) ურთიერთობათა სფეროების გაფართოების, ადგილობრივი საბჭოების როგორც ნამდვილი ბატონ-პატრონის, თვითმმართველობის მთავარი რგოლის სრული ძალაუფლებიანობა.

მუხლი 10. ეკონომიკური დამოუკიდებლობა. გულისხმობს რესპუბლიკის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და შესაბამის პასუხისმგებლობას სსრკ ერთიან სახალხო-მეურნეობრივი კომპლექსის სისტემაში, შიგარესპუბლიკურ სახელმწიფო ტერიტორიულ ფორმირებების საქართველოს სსრ ერთიან სახალხო-მეურნეობრივი კომპლექსის სახით.

ეკონომიკური დამოუკიდებლობა გამოისახება რა შიდა-რესპუბლიკური ტერიტორიული სახელმწიფოებრივი ფორმირებების შესაბამისი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფით, რესპუბლიკის ეკონომიკური ზრდის საშუალებების სრული გამოვლენისა და გამოყენების, დარგებისა და სფეროების ხელშეწყობის მქსიმალური დემოკრატიზაციის პირობებში, გულისხმობს შიდა-რესპუბლიკური სოციალისტური საზოგადოებრივი შრომის დანაწილების გაღრმავებას, მონაწილეობას შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში, მეურნეობის სპეციალიზაციასა და კოოპერაციაში, მნიშვნელოვანი საერთო-საკავშირო სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში

და სხვა ღონისძიებებში მიმართულს საქართველოს სსრ და სსრკ სახალხო-მეურნეობრივი კომპლექსების განმტკიცებისა და გაძლიერების მიზნის განხორციელებისათვის.

მუხლი 11 — საქართველოს სსრ ერთიანი დამოუკიდებელი სახელმწიფო ბანკის და კოოპერატიული და კომერციული ბანკების შესაბამისი ქსელის (აუცილებლობის მიხედვით) შექმნა.

მუხლი 12. ფინანსური ბაზის გაძლიერება. საბიუჯეტო ურთიერთობანი.

რესპუბლიკა წარმოადგენს სრულ ბატონ-პატრონს თავისი ფინანსური ბაზის და ბიუჯეტის მართვაში. ამ მიზნით აუცილებელია: მის ბიუჯეტში ყველა წყაროს დამაგრება, უპირველესად იმ შემოსავლებისა, რომლებიც უშუალოდ არიან დამოკიდებულნი საუწყებო წარმოების (მეურნეობის) ეფექტიან მართვაზე, ბიუჯეტის შემოსავლის ფორმირება ხდება მკაცრად ნორმირებულ ვრძელვადიან საფუძველზე, აგრეთვე საკავშირო ბიუჯეტში მოგების (შემოსავლის) გადაცემით (დადგენილი ნორმატივის მიხედვით).

რესპუბლიკური ბიუჯეტი დაზღვეული უნდა იყოს ბიუჯეტში შემოსავლის ყოველწლიური რეგულირებისაგან საერთო საკავშირო სახელმწიფო შემოსავლების და გადასახადების ანარიცხების ხარჯზე, საკავშირო ორგანოების ჩაურევლობისაგან საბიუჯეტო პროცესში. რესპუბლიკა დაინტერესებული უნდა იყოს ფინანსური რესურსების გაზრდით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში უნდა შედიოდნენ: 1) უწყებრივი მეურნეობების საწარმოების მოგების (შემოსავლის) გადასახადები (კერძოდ მიწაზე, წყალზე და შრომით რესურსებზე გადასახადის განაკვეთი დგინდება ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძველზე და დიფერენცირდება შიგარესრესპუბლიკური რეგიონების მიწის ეკონომიკური შეფასების, წყლითა და შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის მიხედვით)

- 2) მოსახლეობიდან გადასახადები.
- 3) საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების და ორგანიზაციების (რომლებიც მინიმუმამდე იქნებიან დაყვანილი და დარჩებიან მხოლოდ თავდაცვის მნიშვნელობისა) მოგებიდან გადასახადები.
- 4) ბრუნვიდან გადასახადის ნაწილი რესპუბლიკაში წარმოებულ პროდუქციაზე სხვა რეგიონებში რეალიზაციის შედეგად (ღვინო მასალა, ჩაი, და სხვა).
- 5) იმპორტიდან მიღებული შემოსავალი
- 6) — საბაჟო შემოსავალი.
- 7) — სხვა შემოსავლები და გადასახდელები.

საჭიროების შემთხვევაში გადაუდებელი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად შეიძლება გამოყენებული იქნას დაფინანსების სისტემა საკავშირო ბიუჯეტიდან დადგენილი ღონისძიებების და სუბსიდიის სახით, რომელთაც აქვთ როგორც წესი მიზნობრივი ხასიათი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლებში შედის დანახარჯები სახალხო მეურნეობის განვითარებაზე და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე.



მ უ ხ ლ ი 13. დასწარმოქმნის დარგში, რესპუბლიკა თავის ტერიტორიაზე:

ა) ახორციელებს ფასების ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას სახალხო მოხმარების ყველა იმ საქონელზე და მომსახურებაზე, რაც მის ტერიტორიაზე იწარმოება და რეალიზდება, როგორც თავის ასევე ნებისმიერ ტერიტორიაზე მის საზღვრებს გარეთ. რესპუბლიკის გარეთ რეალიზებული საქონლის ფასის დაწესებისას მხედველობაში მიიღება მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურა.

გ) ამყარებს წესრიგს პროდუქციაზე, საქონელზე და მომსახურებაზე საბითუმო, შესასყიდი, საცალო ფასების და ტარიფების პრინციპების დამუშავებისას;

დ) ადგენს ფასებს და ტარიფებს ძირითად სახის საყოფაცხოვრებო, კომუნალურ და სხვა ფასიან მომსახურებაზე, მათ შორის: ბინის გადასახდელზე და საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობაზე.

მ უ ხ ლ ი 14. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მართვა, გამომდინარეობს თვითმმართველობის და თვითდაფინანსების პრინციპებიდან და კომპლექსურ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში რესპუბლიკის როლის გაძლიერების ამოცანებიდან.

მ უ ხ ლ ი 15. დაგეგმვა განპირობებულია შიგარესპუბლიკური ადმინისტრაციულ — ტერიტორიული ფორმირებებით საქართველოს სსრ სახალხო სამეურნეო კომპლექსების და საქართველოს სსრ წვლილით სსრკ სახალხო მეურნეობაში (სსრკ სახალხო მეურნეობრივ კომპლექსში). ამ მიზნით დგინდება დაგეგმვის საწყისი მონაცემები — საკონტროლო ციფრები წმინდა პროდუქციის მოცულობის (ბრუნვის გადასახადის გარეშე), მოსახლეობის რეალური შემოსავლების ზრდის, რესურსთა გამოყენების ეფექტიანობის ერთ მანეთ წმინდა პროდუქციაზე მასალატევადობის შემცირების მიხედვით.

აგრეთვე ეროვნული შემოსავლისა და ერთობლივი ეროვნული პროდუქტის მაჩვენებლების მიხედვით, როგორც რესპუბლიკის ეკონომიკის განმსახლვრელი მაჩვენებლებისა.

კომპლექსური დარგობრივი გეგმებისა და შიდა რესპუბლიკური ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების საფუძველზე იქმნება მთლიანად რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმა.

მ უ ხ ლ ი 16. საერთო — საკავშირო მნიშვნელობის სახელმწიფო შეკვეთა ხორციელდება — საერთო — საკავშირო ფონდში მიწოდებაზე, საერთო — საკავშირო სამეცნიერო — ტექნიკური და ეკონომიკური პროგრამების რეალიზაციაში მონაწილეობაზე.

მ უ ხ ლ ი 17. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მართვა.

თანამედროვე ეტაპზე, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საერთო პრინციპებიდან გამომდინარე მუშავდება და ხორციელდება ერთიანი (რესპუბლიკური) სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკა. რესპუბლიკა ამუშავებს საქართველოს სსრ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის კომპლექსურ პროგრამას. აუცილებლობის მიხედვით ქმნის ან აუქმებს სამეცნიერო, საპროექტო-საკონ-

სტრუქციო, ტექნოლოგიური დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, უშუალოდ მონაწილეობს საერთო-საკავშირო სამეცნიერო ტექნიკური პროგრამების შემუშავებაში.

მ უ ხ ლ ი 18. კ ა პ ი ტ ა ლ უ რ ი მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა .

რესპუბლიკა საზღვრავს თავისი ბიუჯეტიდან კაპიტალური დაბანდების მოცულობისა და გამოყენების მიმართულებას. ლეზულობს გადაწყვეტილება დაქვემდებარებულ საქვეუწყებო მეურნეობების ობიექტთა მშენებლობაზე, მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისაგან დამოუკიდებლად ახორციელებს, საქვეუწყებო მეურნეობების საწარმოო ობიექტთა და სხვა რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმო ინფრასტრუქტურის მშენებლობასა და გაფართოებაზე ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებს.

მ უ ხ ლ ი 19. გარემოს დაცვა. საქართველოს სსრ მის ტერიტორიაზე თანამფლობელია, განკარგავს, იყენებს და უშუალო პასუხისმგებლობას კისრულობს რათა შეინარჩუნოს და გაამდიდროს ბუნებრივი რესურსების სახელმწიფო ფონდი (შავი ზღვის პირეთის ჩათვლით).

ა) მიწის

ბ) წყლის

გ) მცენარეულობის მ. შ. ტყის

დ) წიაღის

ე) ცხოველთა სამყაროს

იგი ადგენს ხანგრძლივ სტაბილურ ნორმატივებს მათი ეკონომიკური შესავსებისათვის.

მ უ ხ ლ ი 20. შ რ ო მ ა და ს ო ც ი ა ლ უ რ ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა .

რესპუბლიკამ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკურად და სოციალურად გამართლებული შეფარდებები სამეურნეოანგარიშიანი შემოსავლების ზრდის, შრომის ნაყოფიერებასა და მის ანაზღაურებას შორის. საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის განმტკიცების კვალობაზე შეაქვს, რესპუბლიკის ბიუჯეტის სახსრებზე მყოფი დაწესებულებების მუშაკთა თანამდებობრივ განაკვეთებზე წანამატები. მან ზემოქმედება უნდა მოახდინოს იჯარის და ნარდობის ბრიგადებისა და ოჯახების, კოოპერატივების შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების სხვა სოციალ-ეკონომიკურად ეფექტური ფორმების განვითარებაზე, რომელიც შეესაბამება საქართველოს სსრ ეკონომიკურ და სოციალურ თავისებურებებს.

საქართველოს სსრ სოციალ-ეკონომიკური განვითარების ამოცანების შესაბამისად საჭიროა შემუშავდეს რესპუბლიკის ხალხთა მოსახლეობის პროგრამა.

მ უ ხ ლ ი 21. ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ - ს ა მ ა რ თ ლ ე ბ რ ი ვ ი ს ა კ ი თ ხ ე ბ ი . რომელთა დამუშავება აუცილებელია საქართველოს სსრ თვითმმართველობასა და თვითდაფინანსებაზე (სამეურნეოანგარიშიანობის ტერიტორიულ პრინციპებზე) გადასვლასთან დაკავშირებით.

ასეთებს განეკუთვნება:

- ა) სსრკ კანონის მიღება „მოკავშირე რესპუბლიკის თვითმმართველობის და თვითდაფინანსების შესახებ“.  
 ბ) სტატისტიკური მონაცემების — მართვის საინფორმაციო ბაზის გაძლიერება (გაღრმავება და გაფართოება) და დაზუსტება.  
 დ) გამოთავისუფლებული მუშაკთა შრომითი მოწყობა.

მუხლი 22. საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის საორიენტაციო სტრუქტურა (%)

შემოსავალი — 100%

მათ შორის:

I გადასახადი სახელმწიფო

საწარმოების და ორგანიზაციების მოგებიდან	30,0—32,0%	} 58,0—62,0%
II ბრუნვიდან გადასახადი	28,0—30,0%	

III გადასახადი:

ა) მიწაზე	2,0—3,0%	} 3,0—5,0%
ბ) წყალზე	1,0—2,0%	
		61,0—67,0%

IV დანარჩენი

გადასახადი და ანაკრები	39,0—33,0%
სულ	100,0%

გასავალი — 100%

მათ შორის:

I. სახალხო მეურნეობის დაფინანსებაზე	48,0%	} 94,0%
II. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსებაზე	46,0%	
III. სხვა ღონისძიებათა დაფინანსებაზე	6,0%	
სულ	100,0%	

პერსპექტიული (საორიენტაციო) მოდელი  
(შემდგომი ეტაპი)

I. ყველაფერს რაც მდებარეობს (ეკუთვნის, ეხება) რესპუბლიკის ტერიტორიაზე მართავს რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოები. (გარდა განსაკუთრებული დანიშნულების თავდაცვის ობიექტებისა). ეკონომიკური ურთიერთობები საკავშირო ორგანოებთან მყარდება ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც კანონის ძალა აქვს, ორმხრივი ვალდებულებებით და პასუხისმგებლობით — შესაბამისი სახელშეკრულებო ფორმების და სტაბილური ეკონომიკური ნორმატივების საფუძველზე.

II. ბუნებრივ რესურსებზე საერთო სახელმწიფო საკუთრებასთან ურთიერთობა თანამესაკუთრის (თანამფლობელის) უფლებებით აქედან გამომდინარე შედეგებით და უშუალო პასუხისმგებლობით მათ დაცვაზე, გაკეთილშობილება და გამრავლებაზე.

2. „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1989, № 3

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. რესპუბ.  
ბაბლიოთეკა



III. ფასები რესპუბლიკაში წარმოებულ საქონელზე და საკავშირო სპეციალიზაციის პროდუქციაზე (ჩაი, ყურძენი, ციტრუსი და სხვა) დგინდება რესპუბლიკური ორგანოების მიერ.

IV. ყალიბდება განვითარებული შიგარესრესპუბლიკური სოციალისტური ბაზარი:

- ა) სახალხო მოხმარების საქონელის,
- ბ) წარმოების საშუალებების,
- გ) ფინანსების (ობლიგაციების, აქციების და სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვება და რეალიზაცია),
- დ) შრომის დახმარების უზრუნველყოფით პირველი სამი თვის განმავლობაში საშუალო თვიური ხელფასის შენარჩუნებით, შემდგომი სამი თვის განმავლობაში დახმარების რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასის არა ნაკლებ 50-60%-ის შენარჩუნებით. ყალიბდება განვითარებული შიგარესრესპუბლიკური საბაზრო ურთიერთობები.

V. რესპუბლიკური სახელმწიფო ორგანოებს ეძლევათ (სახალხო დეპუტატთა საბჭოების მეშვეობით) მიწის ნაკვეთების მიწითმოსარგებლებისათვის მიყიდვის უფლება შესაბამისი დიფერენციაციით (მიწის ნაკვეთების ხარისხის და ადგილმდებარეობის მიხედვით, მიწის ეკონომიკური შეფასების ნორმატივებიდან გამომდინარე, მათი გაყიდვის უფლების გარეშე.

VI. მცირდება ზედმეტი ადმინისტრაციული რგოლები, კერძოდ დარგობრივი სამინისტროები და სახელმწიფო კომიტეტები და ფართოვდება საწარმოო, სამეცნიერო-საწარმოო და სხვა გაერთიანებები, ასოციაციები და კოოპერატივები, საკუთრების სოციალისტური ფორმების და თავისუფალი მეწარმეობის საფუძველზე, წვრილი კერძო საკუთრების მიზიდვით.

VII. დგინდება საბენისო უზრუნველყოფა არა ნაკლები 75%-ისა საშუალო თვიური ხელფასიდან ძირითად სამუშაოზე (ბოლო 5-10 წლის განმავლობაში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში მიზიდვის უფლებით დამატებითი ანაზღაურებით (შეუზღუდავად) და შეღავათებით კომუნალური მეურნეობის და ჯანმრთელობის ხაზით.

VIII. მთლიანად წყდება მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობლემები — ბინის ფართობი (სანიტარული ნორმებით დაშვებულზე არანაკლები)

- წყლით მომარაგებით
- ელექტროენერჯით
- გათბობით და გაზით
- საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა სახით
- საერთო სარგებლობის ტრანსპორტით
- საკურორტო-გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებებით, ტურიზმით.

წარმოდგენილი საორიენტაციო მოდელი საქართველოს ეკონომიკის დამოუკიდებელ ფუნქციონირებისა სამეურნეოანგარიშიანობის პრინციპებზე ითვალისწინებს რესპუბლიკის ეკონომიკის მართვის, თანდათანობით, საწარმოო ძალთა და წარმოებრივ ურთიერთობათა გაძლიერებისა და განვითარების კვალობაზე, მთლიანად გადავიდეს ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე, რაც უპირველეს ყოვლისა უნდა გამოიხატოს შემდგომ ძირითად ეკონომიკური მაჩვენებლების განხორციელებაში: ა) რესპუბლიკის ყოველი სახის ბუნებრივ



რესურსები, მის ტერიტორიაზე გაადვილებული ყველა ობიექტი, როგორც საწარმოო ისე არასაწარმოო დანიშნულებისა (გარდა სამხედრო დანიშნულების ობიექტებისა) არის მთლიანად რესპუბლიკის მფლობელობაში, განკარგულებაში და პასუხისმგებლობაში, ბ) რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ეკონომიკური ორგანოები (უწყებები) უშუალო (თავისუფალი ბაზრის ფუნქციონირების გათვალისწინებით) განსაზღვრავენ საქართველოში წარმოებულ პროდუქციის ფასს მისი რეალიზაციისათვის როგორც რესპუბლიკის ფარგლებში, ისე მის ფარგლებს გარეთ (მსოფლიო ბაზრის ჩათვლით); გ) ეკონომიკური ურთიერთობები საქართველოს სსრ და სსრ კავშირის საკავშირო ორგანოებთან, ისე როგორც ნებისმიერ მოკავშირე რესპუბლიკასთან, აგრეთვე საზღვარგარეთის ნებისმიერ ქვეყანას ან განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულებებით და ხანგრძლივ (შესაძლებელია მოკლევადიანი) მოქმედ ნორმატივებისა და ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით, რომელთა შესრულება ორმხრივ სავალდებულოა.

А. ГУНИЯ

## К ВОПРОСУ О КОНЦЕПЦИИ (МОДЕЛИ) ПЕРЕХОДА ГРУЗИНСКОЙ ССР НА ХОЗРАСЧЕТ

Резюме

Представленная ориентировочная модель функционирования экономики Грузинской ССР на принципах хозяйственного расчета предполагает, по мере усиления и развития производительных сил и производственных отношений, переход республики к экономической независимости, что прежде всего должно выразиться в осуществлении следующих экономических показателей: а) все виды природных ресурсов, расположенные на территории республики, все объекты как производственного, так и непроизводственного назначения (кроме объектов оборонного значения) находятся полностью во владении, распоряжении и под ответственностью республики, б) республиканские государственные экономические органы (ведомства) непосредственно (с учетом функционирования свободного рынка) определяют цены на продукцию, производимую в Грузинской ССР для реализации как в пределах, так и за пределами республики (включая мировой рынок), в) экономические отношения между Грузинской ССР и союзными органами, как и с любой союзной республикой, а равно и с зарубежными странами определяются соответствующими договорами и долгосрочными (возможно, и краткосрочными) нормативами и договором, предусмотренными условиями, выполнение которых является обоюдно обязательным.

ბიზნის ტოქმაჯიზმილი  
დალი შავლობილი

ხელფასის, საცალო ფასებისა და მოთხოვნა-მიწოდების  
საკითხისათვის

ჩვენი ქვეყნის ე. წ. უძრავი პერიოდის სამეურნეო მექანიზმი აგებული იყო მმართველობის ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიულ მეთოდებზე. შეზღუდული იყო სასაქონლო წარმოების კანონების მოქმედება, რამაც განსაკუთრებით უარყოფითად იმოქმედა მოთხოვნა-მიწოდებას შორის წონასწორობაზე. 70-იან წლებში წარმოიშვა ინფლაციური და კრიზისული მოვლენები, ქმედითი სტიმულირების ფუნქცია დაკარგა ხელფასმა, ხოლო გეგმური ფასები კი იქცა დაბრკოლებად ღირებულების კანონის მარეგულირებელი როლის შესრულებაში. პარტიის მიერ დასახული სოციალური პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფდა ხალხის მზარდი მოთხოვნილებების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას, მათი ცხოვრების დონის ზრდას.

თანამედროვე პირობებში სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების გარდაქმნის ერთ-ერთ აუცილებელ მხარეს შეადგენს ისეთი სამეურნეო მექანიზმის ფორმირება, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, უშუალო საქონლმწარმოებელთა ეკონომიკური დამოუკიდებლობის განვითარების საფუძველზე მთელი სისრულით ამოქმედებს ინდივიდისა, კოლექტივისა და მთელი საზოგადოების შრომათ სტიმულს, შეუქმნის მშრომელებს წარმოების რეალური ბატონ-პატრონის პირობებს. იგი ითვალისწინებს მთელ წარმოებით ურთიერთობათა რადიკალურ გარდაქმნას, ძირულ ძვრებს წარმოების, განაწილების, მიმოქცევისა და მოხმარების სფეროში. სოციალურ ურთიერთობებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შრომის მიხედვით განაწილების პრინციპების დამკვიდრებას, ფასების მთელი სისტემის რეფორმას. პირველი მათგანის მიმდინარეობაში, მართალია ნელა, მაგრამ მაინც იკვეთება ცვლილებები. საწარმოთა სამეურნეო ანგარიშის განვითარების პარალელურად ხდება შრომის პირადი და კოლექტიური ინტერესების შეხამება, მატერიალური სტიმულების გაძლიერება, შრომის ანაზღაურების მის საბოლოო შედეგებთან კავშირის დამყარება, ხელფასის ქმედითუნარიანობის აღდგენა. ეს ცვლილებები თეორიულად უკვე გააზრებულ პრინციპებზე არის დამყარებული. სამწუხაროდ იგივეს ვერ ვიტყვით ფასების სისტემის შესახებ.

ფასებმა დიდი ხანია რაც დაკარგეს ეკონომიკის დაბალანსების, ხალხის კეთილდღეობის ამაღლების, წარმოების ზრდის სტიმულირების როლი. მათი შეფარდებითად სტაბილური და მოუქნელი დონეები „ხარჯვითი ეკონომიკისათვის“ დამახასიათებელი მექანიზმის პირობებში იყო ჩამოყალიბებული. მოხმარებისათვის განკუთვნილ ყველა პროდუქტზე საცალო ფასების ცენტრალიზებული დაწესება აბრკოლებდა ეკონომიკის დაბალანსების შესაძლებლობებს. ცხადი გახდა, რომ აუცილებელი იყო ფასების რეფორმა,

მაგრამ კონკრეტულად მისი განხორციელების გზები ბოლომდე დღესაც არ არის გარკვეული.

ზარალიანი, სახელმწიფო დოტაციაზე მყოფი საწარმოების ეკონომიკურა მდგომარეობის გამოსწორება და მათი სამეურნეო ანგარიშთან დაკავშირება გადაყვანა მოითხოვს ფასების დონის ზრდას. ამ მიზნით, ფასების სახელმწიფო კომიტეტის წარმომადგენელთა მტკიცებით, აუცილებელია ფასების ამაღლება სახელმწიფოსათვის ზარალიან, არამომგებიან პროდუქტებზე, მათ შორის პირველი სასიცოცხლო მოხმარების საგნებზე — პურზე, რძის ნაწარმზე, ხორცზე და სხვ. ხალხის კეთილდღეობის ამაღლების კანონზომიერებები კი მოითხოვს ხელფასის ზრდის ან „გაყინვასთან“ ერთად საცალო ფასების შემცირებას, ან კიდევ ხელფასის უპირატეს ზრდას ფასების ზრდასთან შედარებით.

70-80-იანი წლების პირველ ნახევარში შრომის ნაყოფიერებასთან შედარებით ხელფასის უპირატესი ზრდის მანკიერმა პრაქტიკამ მიგვიყვანა ისეთ წინააღმდეგობებამდე, რომლებიც ამჟამად ხელს უშლიან ხელფასის ქმედითობისა და მანეთის მყიდველობითი უნარის ზრდას და დააბრკოლებენ მას მანამ, სანამ მთელი ქვეყნის მასშტაბით არ მოხდება საწარმოების ტექნიკური რეკონსტრუქცია, არ განვითარდება უახლოეს ტექნიკასა და ტექნოლოგიაზე აგებული შრომითი პროცესები და არ იწარმოება ისეთი მაღალი სამომხმარებლო თვისებების პროდუქცია, რომლებიც „ამოიღებენ“ მოსახლეობაში უმომაროდ არსებულ ზედმეტ ფულს. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, საწარმოთა სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა ვერ უზრუნველყოფს მინიმალური ხელფასის ისეთ ზრდას, რომლებიც ფასების თანამედროვე სისტემის პირობებში (ან კიდევ მათი ზრდის შემთხვევაში) მცირე შემოსავლების მქონე მუშაკებს შეუქმნის ცხოვრების ნორმალურ პირობებს. ფასების ზრდის მეშვეობით ხარჯვითი სამეურნეო მექანიზმისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური სირთულეების დაძლევა გადადის მშრომელთა მხრებზე და იგი უნდა მოხდეს უპირველეს ყოვლისა დაბალი შემოსავლების მქონე მოსახლეობის ცხოვრების დონის კიდევ უფრო შემცირების ხარჯზე. სხვა შემთხვევაში ეს სირთულეები უნდა გადაილახოს თვით საწარმოთა სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნით, მათი შრომის ნაყოფიერების მკვეთრი ამაღლებით დაბალი საცალო ფასების შენარჩუნების პირობებში. იგი მოითხოვს ხანგრძლივ პერიოდს და გულსისხმობს ინფლაციური და კრიზისული მოვლენების განვითარებასა და მათ ნელ-ნელა აღმოფხვრას.

ამჟამად კი ეს გადაუჭრელი წინააღმდეგობები უარყოფითად მოქმედებს როგორც მანეთის მყიდველობითი უნარის ამაღლებაზე და არსებული ინფლაციური პროცესების დაძლევაზე, ასევე წარმოების ინტენსიურ განვითარებაზე და რეალური სამეურნეო ანგარიშთან დაკავშირების დანერგვაზე.

ცნობილია, რომ წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში ხელფასისა და ფასის კატეგორიები კონცენტრირებულად ასახავენ ინდივიდის, კოლექტივისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულებას. ამ კატეგორიების სპეციფიკა, მათი კავშირის თავისებურებანი განსაზღვრულია წარმოებით ურთიერთობათა სისტემის ხასიათით, ამ სისტემის კანონებით. მართალია ეკონომიკურ კანონთა შორის განსაზღვრულია ძირითადი ეკონომიკური კანონი, მაგრამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვლინდება არა მხოლოდ იგი, არამედ კანონთა სისტემა (ჯგუფი).

ხელფასი სოციალიზმის დროს უშუალოდ ეფუძნება შრომის მიხედვით განაწილების კანონის მოქმედებას, მაგრამ ამ ურთიერთობაში ვლინდება ძირითადი ეკონომიკური კანონის მოქმედებაც. ამასთან, ხელფასი ყალიბდება გეგმაზომიერად, სახელმწიფო ანხორციელებს მის ერთიან პოლიტიკას, მისი სიდიდე ნაკლებად ექვემდებარება სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდების კანონზომიერებებს, ასრულებს მატერიალური სტიმულირების როლს და ხელს უწყობს წარმოების ეფექტიანობისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებას. შესაბამისად ხელფასის ფუნქციებში განაწილების კანონის მოთხოვნების გარდა აისახება სხვა ეკონომიკური კანონების მოთხოვნებიც, რომელთა რეალიზაციაც დამოკიდებულია ხელფასის სწორი პოლიტიკის განხორციელებაზე.

ანალოგიურად შეიძლება ვიმსჯელოთ ფასებზე, რამდენადაც მისი წარმოქმნა დამოკიდებულია როგორც სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების კანონების, ასევე მოთხოვნილებების განუხრელი ამაღლებისა და უშუალო საზოგადოებრივი წარმოების სხვა კანონების მოქმედებაზე. ხელფასისა და ფასების ურთიერთობის ეს შინაგანი მრავალმხრივი კავშირები განსაზღვრავენ ამ ურთიერთობათა განვითარების მიმართულებებს და ქმნიან სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების საფუძვლებს.

სოციალიზმის დროს ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ზრდა, უწინარეს ყოვლისა მშრომელთა შემოსავლებისა და საცალო ფასების დამოკიდებულებით განსაზღვრული, ხორციელდება ხელფასის ზრდით, სამუშაო დროის შემცირებით, უფასო და შეღავათიანი მომსახურებების სფეროს გაფართოებით, საცალო ფასების სისტემის სრულყოფით და ა. შ. ფასების პოლიტიკას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხელფასის იმ ფუნქციების განხორციელებაში, რომლებიც ადამიანის მოთხოვნილებების რეალიზაციას უკავშირდება.

ხელფასი გაცვლის სფეროში ვლინდება გადახდისუნარიანი მოთხოვნის მეშვეობით, ხოლო ფასები კი წარმოებაში დახარჯული შრომის რაოდენობის ზომას უნდა ავლენდეს. შესაბამისად, წარმოებული პროდუქციის მოცულობის თანაფარდობა გადახდისუნარიან მოთხოვნასთან ხელფასისა და ფასების ურთიერთდამაკავშირებელი რკოლის როლს ასრულებს. აქედან გამომდინარე, ხელფასისა და ფასების ურთიერთმიმართების მთავარ კრიტერიუმს უნდა წარმოადგენდეს, ერთის მხრივ, მოთხოვნა-მიწოდებას შორის წონასწორობის დამყარება, ხოლო, მეორეს მხრივ, კი წარმოებული პროდუქტის განაწილებასა და გაცვლაში სოციალური სამართლიანობის განმტკიცება ადამიანის მოთხოვნილებების რეალიზაციის მიზნით. ამ ამოცანების განხორციელება ემყარება ხელფასისა და ფასების მოქმედების მექანიზმის სრულყოფას ადამიანის მოთხოვნილებების სტრუქტურისა და გადახდისუნარიანი მოთხოვნის ცვლილებების შესაბამისად. ხელფასის დიფერენცირებული სიდიდეებიდან გამომდინარე ფასების სისტემამ უნდა უზრუნველყოს ადამიანის მოთხოვნილებების ადექვატური რეალიზაცია, პრინციპის განხორციელება — „უკეთ ცხოვრობს ის, ვინც უკეთ მუშაობს“.

ასეთი მდგომარეობის ასახსნელად 50-იანი წლების ბოლოს და 60-იანი წლების დასაწყისში რიგი ეკონომისტები მიუთითებდნენ, რომ წმინდა შემოსავლის ნაწილი, რომელიც შექმნილია წარმოების საშუალებათა მწარმოებელ დარგებში, რეალიზდება მოხმარების საგნების ფასებში ჩართული ბრუნვის გადასახადის საშუალებით. ეს უზრუნველყოფს წარმოების საშუალებებზე ფასების შედარებით დაბალ დონეს, ხელს უწყობს მექანიზაციის ტემპებთან დაჩქარების და საბოლოო ანგარიშით იწვევს წარმოების ზრდას და მოხმარების საგნების თვითღირებულების შემცირებას<sup>6</sup>.

<sup>6</sup> Политическая экономия. ИЭ АН СССР. М., 1962, с. 531; Политическая экономия. ИЭ АН СССР. М., 1954, с. 476; Струмилин С. Г. Экономическая эффективность капитальных вложений и новой техники. М., 1959, с. 73.



სინამდვილეში წარმოების საშუალებებზე ხელოვნურად დადაბლებული ფასების დაწესებით პროდუქციის თვითღირებულება კი არ მცირდება, არამედ ეცემა მხოლოდ მისი ფულადი შეფასება. ეს ქმნის ეკონომიის მოჩვენებითობას, მხოლოდ საანგარიშო ეკონომიას<sup>7</sup>. მას არავითარი კავშირი არა აქვს მატერიალური და შრომითი დანახარჯების ნამდვილ ეკონომიასთან და მით უმეტეს წარმოების ზრდასთან მთელი სახალხო მეურნეობის მასშტაბით. სკკპ XIX საკავშირო კონფერენციაზე აღინიშნა, რომ „როცა დიდ მოგებას იღებს საქონლის ერთი ჯგუფისაგან, სახელმწიფო ამავე დროს იძულებულია ათობით მილიარდი მანეთი დოტაცია გაიღოს ბიუჯეტიდან მეორე ჯგუფის საქონლისათვის. ...დაბალი დოტაციური ან გაუმართლებლად დიდი ფასები სტიმულს არ აძლევენ წარმოების ზრდას და უღირსად უარყოფით გავლენას ახდენენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე“<sup>8</sup>.

ფასების ორი დონე უარყოფით ზეგავლენას ახდენს ასევე, მოსახლეობის კეთილდღეობაზე. კერძოდ, II ქვედანაყოფის (განსაკუთრებით მრეწველობის „ბ“ ჯგუფის) პროდუქციის ღირებულებაზე მაღალი ფასების დაწესება, რომელიც განპირობებულია ბრუნვის გადასახადის არსებობით, იწვევს მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუარესებას. ამ შემთხვევაში, ბრუნვის გადასახადი ასრულებს არაპირდაპირი (ირიბი) გადასახადის როლს<sup>9</sup>.

მოსახლეობის ცხოვრების დონეზე არაპირდაპირი გადასახადები უფრო დიდ ზეგავლენას ახდენენ, ვიდრე პირდაპირი გადასახადები. მაგალითად, ვ. სემიონოვის გაანგარიშებით პირდაპირი გადასახადები, რომლებიც გამოიქვეითება ხელფასიდან, მუშის ოჯახის ბიუჯეტს ამცირებს მხოლოდ 8,6%-ით, ხოლო ირიბი გადასახადები — 60%-ით<sup>10</sup>. 1987 წელს არაპირდაპირმა გადასახადებმა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში შეადგინა 59,1%, ხოლო პირდაპირმა — 7,5%<sup>11</sup>.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბრუნვის გადასახადი გამოიყენება სახალხო მეურნეობის დაფინანსებისათვის, სახელმწიფო აპარატის შენახვისათვის, თავდაცვისათვის და საზოგადოებრივი მოხმარების ფონდების შექმნისათვის. ამ უკანასკნელში იგულისხმება სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის საჭირო ხარჯები, რომლებიც გამოიყენება უფასო ჯანდაცვისა და განათლებისათვის, პენსიებისა და სტიპენდიებისათვის, სხვადასხვა სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის. ამავე დანიშნულებით გამოიყენება საწარმოთა მოგებიდან (სამეურნეო ანგარიშებრივი შემოსავლებიდან), საბოლოო ანგარიშით კი მშრომელთა შემოსავლებიდან, სახელმწიფო ბიუჯეტში გაწეული ანარიცხებიც. მათ შორის ძირითადად ის განსხვავებაა, რომ ბრუნვის გადასახადი გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში დროის გარკვეულ პერიოდში რეგულარულად, და მას არავითარი კავშირი არ აქვს საწარმოთა მუშაობის მაჩვენებელთან, ხოლო მოგებიდან ანარიცხები პირდაპირ კავშირშია მათ-

<sup>7</sup> Вагг Л. А. Плата за производственные фонды и эффективность их использования. М., 1966, с. 18.

<sup>8</sup> ბ. ს. გორბაჩოვი, სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობისა და გარდაქმნის გაღრმავების ამოცანების შესახებ, მოხსენება სკკპ XIX საკავშირო კონფერენციაზე 1988 წ. 28 ივნისს, თბ., 1988, გვ. 21.

<sup>9</sup> Минц Б. Политическая экономия социализма. М., 1965, с. 371.

<sup>10</sup> გაზ. Московские новости, 1988, 16 октября.

<sup>11</sup> იქვე.

თან<sup>12</sup>. ასეთი მდგომარეობის გამო, ფართო შესაძლებლობა იქმნება იმისათვის, რომ სულ უფრო მეტი სახეობის მოხმარების საგნების ფასებში ჩართული იქნას ბრუნვის გადასახადი. იგი უკანასკნელ პერიოდში იქცა ყალბი სოციალური ღირებულების მატარებლად, მოსახლეობიდან ფულადი შემოსავლების სახელმწიფო ბიუჯეტში გადაქაჩვის ეფექტურ საშუალებად. ამის შესახებ მეტყველებს შემდეგი ცხრილის მონაცემები.

სახალხო მეურნეობის ფულადი დაგროვება (სსრკ) მლრდ. მან<sup>13</sup>.

№	მაჩვენებლები	1970	1980	1985	1986
1.	ყველა ფულადი დაგროვება მათ შორის:	139.7	232	295.5	301
	ა) მოგებიდან ანარიცხები	87	116	167.6	190.9
	ბ) ბრუნვის გმდასახადი	49.4	94.1	97.7	91.5
	გ) სხვა დაგროვება	3.3	21.9	30.2	18.6
2	ბრუნვის გადასახადის წილი მოგებაში % (ბ:ა)	56.7	81.1	50.8	42.7

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბრუნვის გადასახადის წილი მოგებასთან მიმართებაში 1980 წლიდან შემცირების ტენდენციით ხასიათდება. მიუხედავად ამისა, იგი ჯერ კიდევ რჩება სახალხო მეურნეობის ფულადი დაგროვების ერთ-ერთ ძირითად ფორმად. ვინაიდან მისი აბსოლუტური სიდიდე წლითიწლობით იზრდება. ეს, თავის მხრივ მიუთითებს საწარმოო და პირადი მოხმარების პროდუქციაზე ფასების ორი დონის მდგრადობაზე. ბრუნვის გადასახადი არის ფასების ორი დონის მახასიათებელი.

ამრიგად, სოციალისტური სახელმწიფო ფასების ორი დონის საშუალებით ახორციელებს საზოგადოებრივი წარმოების I ქვედანაყოფიდან II-ში ზედმეტი პროდუქტის ნაწილის ცენტრალიზებულ გადანაწილებას და საბოლოო ანგარიშით მის ამოქაჩვას მოსახლეობისაგან მოხმარების საგნების ფასებში ჩართული ბრუნვის გადასახადის სახით. ბრუნვის გადასახადის დაწესება სახელმწიფოს პრეროგატივაა. მას შეუძლია მოხმარების საგნების ცალკეული ჯგუფის ფასებში ბრუნვის გადასახადის ხელოვნური გაზრდით არეგულიროს ბიუჯეტის შემოსავლები. ფასების ასეთი პოლიტიკით მნიშვნელოვნად მცირდება მშრომელთა რეალური შემოსავლები.

სახალხო მეურნეობის ფინანსური დაგროვების ასეთი წესი (რომელიც ეყრდნობა საწარმოო და პირადი მოხმარების პროდუქციაზე „ფასების მაკრატილს“ — ფასების ორ დონეს) სოციალისტური მშენებლობის საწყისი ეტაპებისათვის ობიექტური აუცილებლობით იყო განპირობებული. სხვაგვარად ექსტრემალურ პირობებში არსებულ ქვეყანაში ინდუსტრიალიზაციის დაჩქარებული განვითარება შეუძლებელი იქნებოდა. სახელმწიფო შეგნებულად აწესებდა საწარმოო რესურსებზე (ნედლეულზე, სათბობზე და სხვა სახის წარმოების საშუალებებზე) ღირებულებასთან შედარებით დაბალ ფასებს, რი-

<sup>12</sup> ლ. სადუნიშვილი, თვითღირებულება და ფასი სოციალისტური საზოგადოებაში, თბ., 1964, გვ. 22.

<sup>13</sup> Народное хозяйство СССР за 70 лет. М., 1987, с. 620.

თაც ასტიმულირებდა მათი მწარმოებლური მოხმარების ექსტენსიურ ზრდას, წარმოების ზრდას.

სოციალიზმის მშენებლობის ბოლო პერიოდში, როდესაც კურსი ადუბული იქნა საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიური განვითარებისაკენ, ფასების ორი დონის შენარჩუნება გადაიქცა წარმოების შემდგომი ზრდის მუხრუჭად. საწარმოო რესურსებზე ნამდვილი ფასების უტოლინარობის, ხელოვნურად დადაბლებული ფასების გამო, იქმნება მათი სიიაფისა და უღველოების ილუზია<sup>14</sup>. ეს, გარკვეულწილად განაპირობებს საწარმოო ფონდების არარაციონალურ გამოყენებას, კერძოდ: ძირითადი საწარმოო ფონდების გაუმართლებელ მოცდენებს, ნედლეულს, მასალების სათბობის და სხვა მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული მარაგების არსებობას, მათ მფლანგველურ ხარჯვას, დეფიციტის წარმოშობას და სხვ.

საწარმოო ფონდების რაციონალური გამოყენების სტიმულირების მიზნით, ჯერ კიდევ, სკკპ ცკ-ის 1965 წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებით. შემოღებული იქნა ძირითადი და საბრუნავი ფონდების გადასახდელი. მისი შემოღება გარკვეულწილად წინგადადგმული ნაბიჯი იყო საწარმოთა მიერ საწარმოო რესურსების შეფასების ამაღლების საქმეში, მაგრამ პრაქტიკამ ცხადყო, რომ აღნიშნულმა გადასახდელმა თავისი ფუნქცია ვერ შეასრულა და არც შეეძლო მას იგი შეესრულებინა, რადგან 1967 წლის ფასწარმოქმნის რეფორმამ ფასების ორი დონე შეინარჩუნა<sup>15</sup>. „ფასების ორი დონე სახალხო მეურნეობაში რეალურად არსებობდა, ახალმა საბითუმო ფასებმა ეს დონეები ერთმანეთს დაუახლოვა, მაგრამ ერთიანი დონის ფასები ჯერ კიდევ არა გვაქვს“<sup>16</sup>, — წერდა მაშინ ბ. ნანიტაშვილი.

საწარმოო რესურსებზე საბითუმო ფასების პერიოდული ზრდა შესაბამისად იწვევს მოხმარების საგნების საცალო ფასების მექანიკურ ზრდას. რის გამოც, საზოგადოებრივი წარმოების I და II ქვედანაყოფების, მრეწველობის „ა“ და „ბ“ ჯგუფის პროდუქციაზე „ფასების მაკრატელი“ — ფასების ორი დონე თავის მდგრადობას ინარჩუნებს, ადგილი აქვს არაექვივალენტურ გაცვლას<sup>17</sup>. ასეთ სიტუაციაში წარმოების დანახარჯთა და შედეგთა ანგარიში და ურთიერთშედარება სრულფასოვანი ვერ იქნება, სახალხო მეურნეობაში ნორმალური ეკონომიკური ურთიერთობა უბრალოდ შეუძლებელია<sup>18</sup>.

ფასების ორი დონის არსებობამ, არაექვივალენტურმა გაცვლამ თავისი უარყოფითი ზეგავლენა იქონია შრომითი რესურსების გამოყენების მდგომარეობაზეც.

საბჭოთა ეკონომიკაში ფასების სისტემა ისტორიულად ისე ჩამოყალიბდა, რომ ფასებში არ გაითვალისწინებოდა რენტა და შრომის დასაბუთებული შეფასება<sup>19</sup>. ფასებში ამ უკანასკნელის გაუთვალისწინებლობა გამოიხატებოდა

14 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები 1987 წლის 25-26 ივნისი, თბ., 1987, გვ. 70.

15 Мици Б. Политическая экономия социализма. М., 1965, с. 265.

16 ბ. ნანიტაშვილი, ფასების განსაზღვრის თეორიის პრობლემები, თბ., 1968, გვ. 234.

17 ვაზ. ოკმუნისტი, 1989, 16 მარტი.

18 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები 1987 წლის 25-26 ივნისი, თბ., 1987, გვ. 71.

19 А. Г. Аганбегян. Советская экономика — взгляд в будущее. М., 1988, с. 192.

იმასი, რომ საწარმოების მიერ ნაზღაურდებოდა სამუშაო ძალის კვლავწარმოების ხარჯების მხოლოდ ერთი ნაწილი. იგი მიეცემოდა მუშაკს ხელფასის და მატერიალური წახალისების ფონდებიდან. მეორე ნაწილს ფარავდა სახელმწიფო საზოგადოებრივი მოხმარების ფონებიდან მათ ფორმირებაში ყველა საწარმოო თანაბრად არ მონაწილეობდა, დაბალრენტაბელური და გეგმით ზარალიანი საწარმოები კი ამ მხრივ, გარკვეული შეღავათებით სარგებლობდნენ.

საწარმოების მიერ სამუშაო ძალის შეფასება არასრული (ხელოვნურად დადაბლებული) იყო, იგი მთლიანად არ მოიცავდა სამუშაო ძალის კვლავწარმოების ხარჯებს. სამუშაო ძალა განიხილებოდა როგორც ნაწილობრივად ანაზღაურებადი საწარმოო რესურსი, წარმოების საშუალება. „ადამიანი... საზოგადოებრივი წარმოების განვითარების უმაღლესი ღირებულებებიდან, მიზნიდან სულ უფრო მეტად ხდებოდა ამა თუ იმ ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტის იარაღი“<sup>20</sup>. ამის გამო, საწარმოები ხაკლებად იყვნენ დაინტერესებული შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებით. ისინი მოისწრაფოდნენ თავიანთ განკარგულებაში ჰყოლოდათ გარკვეული რაოდენობის სარეზერვო შრომითი რესურსები, რათა სავეგემო მაჩვენებლებზე მნიშვნელოვანი დაძაბულობის გარეშე შეესრულებინათ<sup>21</sup>.

სოციალისტური მშენებლობის საწყის ეტაპზე საწარმოთა მიერ სამუშაო ძალის კვლავწარმოების ხარჯების ნაწილობრივ დაფარვას, ისევე, როგორც წარმოების საშუალებათა მწარმოებელი დარგების პროდუქციაზე ღირებულებაზე დაბალი ფასების დაწესებას, თავისი გამართლება ჰქონდა.

მრეწველობის განვითარების იმ ეტაპზე, როცა საწარმოთა დიდი წილი არ იყო რენტაბელური, სახელმწიფომ თავის თავზე აიღო კადრების მომზადებისათვის საჭირო ყველა ხარჯები<sup>22</sup> და სამუშაო ძალის კვლავწარმოების სხვა ხარჯები. ასეთი გზით, სახელმწიფო ასტიმულირებდა შრომითი რესურსების ექსტენსიურ მოხმარებას, ახორციელებდა საყოველთაო დასაქმების პოლიტიკას, უმუშევრობის აღმოფხვრას და სხვა სოციალური გარანტიების შექმნას. „როდესაც სახალხო მეურნეობა განიცდიდა კადრების დეფიციტს სამეურნეო ანგარიშის გამოყენება მათ მომზადებაში არ იყო აუცილებელი“<sup>23</sup>. სახელმწიფოს მიერ სამუშაო ძალის კვლავწარმოების გარკვეული ხარჯების თავის თავზე აღება სოციალისტური საზოგადოების ბუნებიდან გამომდინარეობდა.

60-იანი წლების ბოლოს 70-იანი წლების დასაწყისში შრომითი რესურსების ექსტენსიური რეზერვების ამოწურვის გამო დღის წესრიგში დაისვა საკითხი მათი ინტენსიური, რაციონალური გამოყენების შესახებ. ამ საკითხის გადაჭრა ფერხდებოდა. საწარმოები კვლავინდებურად ცდილობდნენ გაზ-

<sup>20</sup> გაზ. კომუნისტი, 1988, 17 ნოემბერი.

<sup>21</sup> Региональные проблемы населения и трудовые ресурсы СССР. Под ред. В. Г. Костакова и Е. Маневича. М., 1978, с. 287.

<sup>22</sup> Воспроизводство рабочей силы и повышение эффективности использования трудовых ресурсов. Под ред. Ф. М. Волкова, В. С. Немченко, В. Н. Ягоркина. МГУ, 1971, с. 108.

<sup>23</sup> გ. ადვიშვილი, წარმოების ინტენსიფიკაცია და სპეციალისტთა კადრების მომზადების საკითხები, თბ. 1988, გვ. 53.



რდილი საწარმოო პოგრამების შესრულებას. უპირატესად ცოცხალი შრომის ხარჯზე. ეს კიდევ უფრო ამწვავებდა შრომითი რესურსების დეფიციტს<sup>24</sup>.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დეფიციტი — ეს რესურსების ნაკლებობა კი არაა, არამედ ურთიერთობაა, რომელიც ყალიბდება მეურნეობრიობის არსებული მექანიზმის პირობებში. დეფიციტი ეს არასწორი მეურნეობის შედეგია<sup>25</sup>. შრომითი რესურსების დეფიციტის გამწვავებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საწარმოთა მიერ სამუშაო ძალის არასრულმა (ხელოვნურად დადაბლებულმა) შეფასებამ. საწარმოთა მიერ სამუშაო ძალის კვლავწარმოების ხარჯები იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ არ ასტიმულირებდა ამ უკანასკნელთ შემეცირებინათ ეს ხარჯები, აემალლებინათ სამუშაო ძალის გამოყენების ეფექტიანობა.

მეურნეობრიობის ახალი მექანიზმი უპირატესობას ანიჭებს სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა გაღრმავებას და გაფართოებას, მართვის ეკონომიკური მეთოდების და ბერკეტების (მათ შორის გადასახდელის) გამოყენებას.

სკკპ ცს-ის 1987 წლის ივნისის პლენუმის მიერ აუცილებლად იქნა მიჩნეული შრომითი რესურსების გადასახდელის გამოყენება. აღნიშნული გადასახდელის საშუალებით ყველა სამინისტროს და უწყებების საწარმოები საკუთარი შემოსავლების ან მიზნობრივი ფონდების ხარჯზე ანაზღაურებენ სამუშაო ძალის მომზადებაზე, მუშაკისა და მისი ოჯახის წევრების სოციალურ-კულტურულ და საყოფაცხოვრებო კომუნალურ მომსახურებაზე სახელმწიფოს მიერ გაწეულ ხარჯებს.

შრომითი რესურსების გადასახდელი ორი სახისაა: 1) მიმდინარე, რომელიც გადაიხდება ყოველწლიურად მუშაკთა ფაქტობრივი საშუალოსიობრივი შემადგენლობის მიხედვით. მისი სიდიდე XII ხულწლედისათვის შეადგენს 300 მან. ჰარბი შრომითი რესურსების მქონე რეგიონებისათვის 200 მან.; 2). ერთობლივი — გადაიხდება მუშაკთა სხვა რეგიონებიდან მიზიდვისათვის. მისი სიდიდე მერყეობს 11 ათასიდან 20 ათას მანეთამდე ტერიტორიის კატეგორიისა და სხვა მაჩვენებლების მიხედვით.

შრომითი რესურსების გადასახდელის ფუნქციაა დაინტერესოს საწარმოები მათი რაციონალური გამოყენებით, ინტენსიური რეზერვების მობილიზებით, მოწინევე ტექნოლოგიისა და რობოტოტექნიკის დანერგვით.

შრომითი რესურსების გადასახდელის შემოღების საკითხი მეცნიერ-ეკონომისტთა მიერ დაისვა, ჯერ კიდევ 60-იანი წლების ბოლოს<sup>26</sup>. შემდგომ მას მრავალი მომხრე<sup>27</sup> გაუჩნდა. მათი აზრით, აღნიშნული გადასახდელის

<sup>24</sup> Маневич Е. Л. Основные проблемы рационального использования рабочей силы в современных условиях. В кн.: Проблемы повышения эффективности использования рабочей силы в СССР. М., 1983; Бунич П. Г. Развитой социализм: человек и труд. М., 1982; Костаков В. Г. Прогноз занятости населения. Методологические основы. М., 1979 и др.

<sup>25</sup> А. Г. Аганбегян. Советская экономика — взгляд в будущее. М., 1988, с. 25; 194.

<sup>26</sup> Канторович Л. В. Газ. Труд, 1968, 12 мая; Канторович Л. В. Горско А. Б. Оптимальные решения в экономике. М., 1972, с. 188.

<sup>27</sup> Федоренко Н. П. Проблемы оптимального функционирования социалистической экономики. М., 1972, с. 48—49; Белкин В. Д. Экономические измерения в планировании. М., 1972; Козлов Г. А. Хозрасчет на этапе развитого социализма. М., 1972; Волконский Р. А. Павлов Н. В. Ткач В. Б. Об эффективности



შემოღება ხელს შეუწყობს საწარმოებიდან ფარული ჰარბი შრომითი რესურსების გამოთავისუფლებას, მათ რაციონარულ დასაქმებას, დეფიციტის აღმოფხვრას და სხვ.

არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, კერძოდ ე. მანევიჩი აღნიშნავს, რომ შრომითი რესურსების გადასახდელის შემოღების გზით ისე, როგორც ეს კეთდება ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი საშუალებების მიმართ არაფრის მიღწევა არ შეიძლება<sup>28</sup>. იგი აუცილებლად გადაიქცევა სახელმწიფოს ერთი ჯიბიდან მეორეში სახსრების გადაადგილების არაეფექტურ ნორმალურობად<sup>29</sup>.

შრომითი რესურსების გადასახდელი საშუალებას იძლევა იმისათვის, რათა საწარმოთა მიერ სამუშაო ძალის შეფასება უფრო სრული, უფრო ობიექტური გახდეს. ამით, თითქოს უნდა მოისპოს შრომითი რესურსებისადმი მფლანგველური დამოკიდებულების ძირითადი მიზეზიც. სინამდვილეში კი ეს ასე არ ხდება. საწარმოთა მიერ სამუშაო ძალის შეფასების გაზრდით სახელმწიფოს (მთელი საზოგადოების) მიერ მისი შეფასება, არ იზრდება. სახელმწიფოს რა თანხაც უნდა დაეხარჯა სამუშაო ძალის კლავფარმოებისათვის აღნიშნული გადასახდელის შემოღებამდე, იმავე თანხას დახარჯავს შემდგომშიც, იმ განსხვავებით, რომ ნაწილი ამ თანხისა ამოღებული იქნება უშუალოდ საწარმოთა შემოსავლებიდან შრომითი რესურსების გადასახდელის სახით. თუნდაც, რომ გაიზარდოს სამუშაო ძალის შეფასება (ხელფასების პირდაპირი გადიდება) შრომითი რესურსებისადმი მფლანგველური დამოკიდებულება მაინც არ შეიცვლება, რადგან დღეს ერთიანი დონის ფასები არა გვაქვს<sup>30</sup>.

საწარმოო ფონდების და შრომითი რესურსების გადასახდელის შემოღებით სახელმწიფო ცდილობს მათი რაციონალური გამოყენების სტიმულირებას, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. ამის მიღწევა, ფასწარმოქმნის არსებული მექანიზმის — ფასების ორი დონის არსებობის პირობებში, პრაქტიკულად შეუძლებელია. საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიურ რელსებზე გადასვლა I ქვედანაყოფის პროდუქციაზე. ფასების დაბალი დონის (ექსტენსიური ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ფასების) პირობებში არ ხერხდება, ხოლო მათი გადიდება შესაბამისად იწვევს II ქვედანაყოფის პროდუქციაზე ფასების მექანიკურ გადიდებას. ფასების ორი დონის არსებობის გამო ეკონომიკა თავს ვერ აღწევს ფასების ზრდის „მოჯადოებული წრიდან“. ასეთ პირობებში, ნათელია, რომ აღნიშნული გადასახდელები მათზე დაკისრებულ მასტიმულირებელ ფუნქციას ვერ შეასრულებენ.

трудовых ресурсов и платежи за их использование Э.к. и мат. методы Т. XIV, Вып. 1, М., 1978; Машинский И. А. Трудовые ресурсы и платежи за их использование. Э.к. и мат. методы. Т. XI, Вып. 2, М., 1975; Бреев Б. Д. Обушенкова Н. П. Хозрасчетные аспекты проблемы использования трудовых ресурсов. Сборник научных трудов. Вып. II, М., 1983 и др.

<sup>28</sup> Е. Л. Маневич. Вопросы труда в СССР, М., 1980, с. 95.

<sup>29</sup> იქვე.

<sup>30</sup> Аганбегян А. Г. Советская экономика — взгляд в будущее. М., 1988, с. 192.

თავისთავად ვერავითარი გადასახდელი ვერ უზრუნველყოფს საწარმოო ფონდებისა და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების სტიმულირებას ამისათვის საჭიროა: ჩამოყალიბდეს საზოგადოებრივად აუცილებელი შრომითი დანახარჯების ფორმირების ობიექტური მექანიზმი — სოციალისტური ბაზრის სახით; შეიქმნას პირობები საწარმოთა შორის ეკონომიკური შეჯიბრებისათვის, გამოყენებული იქნას იგი მომხმარებლებისადმი მწარმოებლის დიქტატისა და მონოპოლიზმის საწინააღმდეგო საშუალებად. ყოველივე ამან, საფუძველი უნდა ჩაუყაროს ექვივალენტურ გაცვლას, საწარმოო და პირადი მოხმარების პროდუქციაზე „ფასების მაკრატლის“, ფასების ორი დონის მოსპობას. მხოლოდ ასეთ პირობებშია შესაძლებელი ფასებში გათვალისწინებული იქნას შრომის დასახუთებელი შეფასება და საწარმოების ეკონომიკური დანტერესება საწარმოო ფონდებისა და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებით.

ფასწარმოქმნის რადიკალურ რეფორმას, რომელიც ამჟამად მზადდება, საფუძვლად უნდა დაედოს ფასების ორ დონეს შორის სხვაობის თანდათანობით შემცირება და საბოლოოდ ფასების ერთიან დონეზე გადასვლა. ეს გულისხმობს I და II ქვედანაყოფის, მრეწველობის „ა“ და „ბ“ ჯგუფის თანაბარი ღირებულების პროდუქციაზე თანაბარი ფასების დაწესებას, იგი უზრუნველყოფს ყოველი საწარმოს სრულ მეურნეობრივ ანგარიშთანაბრებულ გადასვლისათვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნას, ურთიერთობათა ობიექტური მექანიზმის წარმოშობას, ეკვივალენტურ გაცვლას.

ფასების ერთიან დონეზე გადასვლით წარმოების საშუალებათა და მოხმარების საგნების ყიდვა-გაყიდვის პროცესში იქმნება მათი ნამდვილი ფასებით მოძრაობის შესაძლებლობა. ე. ი. ხდება ფასების შრომის საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯებთან დაახლოება. I ქვედანაყოფის („ა“ ჯგუფის) დარგებში შექმნილი მთელი წმინდა შემოსავლის რეალიზაცია იწარმოებს თვით ამ დარგებში შექმნილი პროდუქციის მეშვეობით. ისობა იმის აუცილებლობა, რომ ამ დარგებში შექმნილი წმინდა შემოსავლის ნაწილი ამოღებული იქნას II ქვედანაყოფის, („ბ“ ჯგუფის) პროდუქციის ფასებში ჩართული ბრუნვის გადასახადის სახით. იგი ასრებითად ამოწურავს თავის დანიშნულებას, რადგან მეურნეობრიობის ახალ პირობებში სახელმწიფო გარკვეულწილად გათავისუფლდება საწარმოთა შორის ზედმეტი პროდუქტის ცენტრალიზებული გადანაწილების ფუნქციისაგან. ამ ფუნქციის შესრულება უპირატესად დაეკისრებათ თვით საწარმოებს. ამასთან, გამწვავდება მათ შორის ურთიერთობა მეტი მოგების მითვისებისაკენ მისწრაფების გაძლიერების გამო. იქმნება რეალური პირობები ეკონომიკური შეჯიბრების გაშლისათვის. აღმოიფხვრება გეგმიურად ზარალიანი დარგების (საწარმოების) სახელმწიფო დოტაციაზე არსებობის აუცილებლობა, მათი სიცოცხლის უნარიანობის მთავარი შემფასებელი იქნება არა სუბიექტური ნება, არამედ ობიექტური რეალობა, ეკონომიკური მდგომარეობა.

ფასების ერთიან დონეზე გადასვლით ხელსაყრელი პირობები იქმნება ინდივიდუალური შრომითი საქმიანობით დაკავშირებულ პირთათვის, ფერმერებისათვის, მოიჯარადრეთათვის, კოოპერატორთათვის და სხვ. რომელთაც სურთ წარმოების საშუალებათა შექმნა. ამჟამად კი წარმოების საშუალებათა რეალიზაცია საცალო ვაჭრობის ქსელში გაცილებით ძვირად ხდება, ვიდრე მათი საბითუმო ფასებია. საწარმოო და პირადი მოხმარების საგ-

ნებზე „ფასების მაკრატელი“ მნიშვნელოვნად აფერხებს მეურნეობრიობის ახალი ფორმების განვითარებას.

ფასების ერთიან დონეზე გადასვლისათვის აუცილებელია კურსი აღებული იქნას საწარმოთა და მშრომელთა შემოსავლების პირდაპირი დაბეგრის ზრდაზე. ამასთან პარალელურად უნდა შემცირდეს არაპირდაპირი გადასახადები, მათ შორის ბრუნვის გადასახადი.

ფასების ერთიანი დონის პირობებში არა გადასახდელებს, არამედ ძირითადად ფასებს და ხელფასებს დაეკისრებათ მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების, პროდუქციის ხარისხის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, განაწილებისა და მოხმარების მთელი სისტემის რაციონალიზაციის მასტიმულირებელი ფუნქცია. შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების სტიმულირებისათვის სპეციალური გადასახდელის შემოღება არ იქნება საჭირო. იგი თვითღირებულების ელემენტად იქცევა, სამუშაო ძალის კვლავწარმოების ხარჯები პროდუქციის თვითღირებულებაში აისახება, არა მარტო შრომის ანაზღაურების სახით, არამედ იმ თანხის სახითაც, რომელიც სამუშაო ძალის მომზადების, მუშაკისა და მისი ოჯახის წევრების სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების უზრუნველყოფის გარანტია იქნება.

А. А. БЕРИДЗЕ

## ЦЕНООБРАЗОВАНИЕ И ПЛАТА ЗА ТРУДОВЫЕ РЕСУРСЫ

### Резюме

В статье проанализирована одна из основных причин нерационального, расточительного отношения к трудовым ресурсам. Эта причина заключается в существовании в нашей экономике двух уровней цен.

Дана характеристика экономического норматива платы за трудовые ресурсы. Делается вывод, что эти платежи не смогут выполнить свою стимулирующую функцию, поскольку после их введения существующее соотношение между двумя уровнями цен остается прежним. Оценка рабочей силы остается искусственно заниженной. Этим и объясняется в основном расточительное отношение к трудовым ресурсам.

Для стимулирования рационального использования трудовых ресурсов автор предлагает перейти на единый уровень цен. Это должно происходить постепенно. Главный упор при формировании государственного бюджета надо перенести на прямое налогообложение предприятий и трудящихся. Параллельно с этим необходимо сокращать косвенное налогообложение, в том числе и налог с оборота.

Единый уровень цен создаст благоприятные условия для реальной оценки трудовых и других ресурсов, а следовательно, и для их рационального использования.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და საშრომლო ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის განყოფილებამ

## ს ა მ ა რ თ ა ლ ი

### ბასარიონ ზოიძე

#### ქართული ავტორიტარიზმი და მემკვიდრეობითი სამართალი

ქართული სამართლის ისტორიის შესწავლის საქმეში დიდი ავტორიტარიზმი ლიტერატურის როლი. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ეპოქებს, რომელთა სამართლებრივი კულტურის შემეცნებისათვის დღემდე არ შემორჩენილა რაიმე მნიშვნელოვანი საერო თუ საეკლესიო ეროვნული იურიდიული ძეგლი. ადრეფეოდალური სქართველოს ისტორია ამისი ნათელი მაგალითია. სამაგიეროდ ჩვენს ხელთა მთელი მასა არაპირდაპირი წყაროებისა, რომელზეც დაყრდნობითაც შეიძლება გარკვეული დასკვნების გაკეთება მოცემული ხანის ქართულ იურიდიულ აზროვნებაზე. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროთაგანი ამ საქმეში სწორედ რომ ქართული ავტორიტარიზმია. ამ წერილში ჩვენ შევეხებით მხოლოდ ერთ საკითხს და თანაც ავტორიტარიზმის ლიტერატურის მხოლოდ ერთი ძეგლის მიხედვით. სახელდობრ, მეკვიდრეობითი სამართლის საკითხებს ბასილი ზარზმელის თხზულება „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“-ში. სწორედ ეს ძეგლი იძლევა ყველაზე მეტ ინფორმაციას ანდერძით მეკვიდრეობის საკითხზე ადრეფეოდალურ საქართველოში. საქმე ისაა, რომ ეს ინფორმაცია, ჩვენის აზრით, შეზღუდულადაა განმარტებული სამეცნიერო ლიტერატურაში, და ზოგიერთი არსებითი საკითხი ძირითადად ერთგვაროვნად არის გაგებული. ვფიქრობთ, ყოველივე ამის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ ურთულესი იურიდიული კლასიკის შემეცნელი წყაროა.

ბასილი ზარზმელის თხზულებიდან, სადაც მოთხრობილია დიდი მთავრის გიორგი ჩორჩანელის საქმიანობის ამბავი, ირკვევა, რომ დიდი მთავარი უშვილო იყო, ამიტომ... „ყოველივე რაჟცა აქუნდა, და მამული და ყოველნი ეკლესიანი და მონაგები მისი დასა მისსა შე[პ]ვედრა და შეილთა მისთა საკუთრებით განუთჳსა, რომელთა ეწოდა სულა, ბეშქენ და ლაკაკი... და ვითარცა იყო დიდსა დაწყარებასა და მშუდობასა შინა ადგილი იგი შემდგომად გარდაცვალებისა დიდისა მთავრისა გიორგისისა და კეთილად წარმტებოდა ყოველი საბრძანებელი მისი, რომელი დაეტევა დისა მისისა თეკლ[ა]სა და შეილთა მისთადა, ვინაჲ ბირებითა ეშმაკისა[ქ]თა იქმნა უწესო[ა] ამბოხი, რამეთუ მოკლა ლაკაკიან დისიძე თჳსი, რამეთუ მძლავრებით ეტყოდა. ვითარმედ ნაწილ-უც მამულსა თანა თქუნესა დასა ამას თქუნესა ვინა[ა]თგან თქუნესა დედისა მიერ გაქუს, რომლისათჳსცა განმავლდეს სიტყუს-გებანი ურთიერთას. და ესრეთ მოკლა დისიძე თჳსი“. გიორგი ჩორჩანელის ანდერძის ეს ადგილი ფასდაუდებელია ადრეფეოდალური საქართველოს მეკვიდრეობითი სამართლის შესასწავლად, ვერ სა-

<sup>1</sup> ძველი ქართული ავტორიტარიზმის ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, (V—X სს), ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963, გვ. 339-340.

ჭირთა ვაირკვეს, თუ ვის უტოვებს ქონებას მეგვიდრეობით დიდი მთავარი და მეორეც, რამდენად სამართლიანია დისშვილთა სიძის პრეტენზიები და რა მნიშვნელობა აქვს მას ქალის მეგვიდრეობის საკითხის გარკვევაში. ყველა, ვინც კი ამ თხზულების შესწავლას მოჰკიდა ხელი საერთო აზრისანი არიან იმაზე, რომ გიორგი ჩორჩანელი ანდერძით ქონებას უტოვებს დასა და დისშვილებს. ხოლო, რაც შეეხება სიძის პრეტენზიებს და აქედან გამომდინარე ქალის კანონით მეგვიდრეობის უფლებას, აქ აზრთა სხვადასხვაობა შეიმჩნევა. საქართველოს ისტორიის ნარკვევების მეორე ტომის ერთ-ერთი ავტორი ა. ბოგვერაძე წერს: „მწერალს (მხედველობაშია ბასილი ზარზმელი — ბ. ზ.) მირიანის ძეთა სახლის სიძის მოთხოვნა უსამართლოდ, „მძღავერებათ“ მიაჩნია, რადგან იმ დროის ფეოდალური სამართლებრივი ნორმები გათხოვილ ქალს, თუ მას ძმა (ან ძმები) ჰყავდა, ჩანს, მამულ-დედული ქონების მეგვიდრედ არ ცნობდა. რაც შეეხება ზემორე მაგალითს, ამ შემთხვევაში დამ (მხედველობაში ყავს გიორგი ჩორჩანელის და — ბ. ზ.) ძმის „მამული“ და „მონაგები“ (ე. ი. მშობლების ქონება და ძმის ნაშობები) ანდერძის თანახმად მიიღო. ასე რომ, ლაკლავის სიძის პრეტენზიებს: ოქვენც ხომ დედისაგან (ე. ი. ქალის ხაზით) გაქვთ მიღებული, საბუთიანობა აკლდა“<sup>2</sup>. მოკლედ, ა. ბოგვერაძის აზრით, გათხოვილი ქალი არაა კანონისმიერი მეგვიდრე, იგი მხოლოდ ანდერძითი მეგვიდრეობის სუბიექტია. ჩვენს მაგალითში, გიორგი ჩორჩანელის ანდერძით ქონება მეგვიდრეობის უფლებით რჩება მის დასაც. ამავე ნარკვევების სხვა ავტორი თ. პაპუაშვილი, არსებითად მხარს უჭერს იმ აზრს, რომ გიორგი ჩორჩანელმა ქონება დასა და დისშვილებს დაუტოვა მეგვიდრეობით, ამასთან, გიორგი ჩორჩანელის დისშვილთა სიძის პრეტენზიებზე დაყრდნობით აკეთებს დასკვნას, რომ „ბასილ ზარზმელის თხზულების ეს ადგილი გვიჩვენებს, რომ საქართველოში ქალს მშობლების ქონებაში მეგვიდრეობის უფლება ჰქონია. ბასილი ზარზმელის თხზულების იგივე ადგილი გვაგულისხმებინებს, რომ ქალს მშობლების ოჯახიდან გათხოვების დროს ქონება გაჰქონდა მშობლის სახით. ეს მშითვეი ალბათ ქალის სამკვიდრო წილიც უნდა ყოფილიყო“<sup>3</sup>. ამდენად, როგორც ა. ბოგვერაძე, ისე თ. პაპუაშვილი ერთი აზრისანი არიან იმაზე, რომ გიორგი ჩორჩანელის ანდერძით ქონება მეგვიდრეობით რჩება როგორც მის დისშვილებს ისე, დასაც. მაგრამ ქალის კანონით მეგვიდრეობის საკითხზე, მათი შეხედულებები, როგორც დავინახეთ, განსხვავებულია. ა. ბოგვერაძე, თუ დისშვილთა სიძის პრეტენზიებით ქალის კანონით მეგვიდრეობას უარყოფს, თ. პაპუაშვილი პირიქით — ასაბურობს მას. ი. ანთელავას აზრითაც, „გიორგი ჩორჩანელმა, რომელსაც არა ჰყავდა შვილები და ძმისწულებიც, თავის დას და დისწულებს უანდერძა „მამული“ და „მონაგები“ „საკუთრების“, ე. ი. „ოჯახის“ ნათესაობის საფუძველზე“<sup>4</sup>. ივ. სურგულაძის განმარტებით, გიორგი

<sup>2</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 305. დასა და დისშვილებს თვლის ანდერძითი მეგვიდრეობის სუბიექტებად ა. ბოგვერაძე მოცემულ მაგალითში 1986 წ. გამოცემულ ნაშრომშიც: იხ. ე. ბოგვერაძე, ისევ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ თარიღის გამო, — საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები“, კრებული V, თბ., 1986, გვ. 53.

<sup>3</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II თბ., 1973, გვ. 610.

<sup>4</sup> ილ. ანთელავა, XI-XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ., 1980, გვ. 28.



ჩორჩანელმა თავისი მამულები და ყოველგვარი ქონება დასა და დისშვილებს „საკუთრებით განუთხსა“<sup>5</sup>.

ჩვენის აზრით, ბასილა ზარზმელის თხზულების შემოთმობიანი ადგილი „ყოველივე, რაცა აქუნდა, და მამული და ყოველნი ეკლესიანი და მონაგები მისი დასა მისსა შე[ქ]ვედრა და შვილთა მისთა საკუთრებით განუთხსა“, ნიშნავს ქონების მარტოოდენ დისშვილებისათვის დატოვებას ანდერძით. აშკარად ჩანს, რომ ლაპარაკია დისა და დისშვილების განსხვავებულ უფლებებზე. დას აღნიშნული ქონება „შე[ქ]ვედრა“, დისშვილებს კი — „საკუთრებით განუთხსა“.

ივ. ჯავახიშვილს სადაოდ არ გაუხდია ჩვენს მაგალითში დისა და დისშვილების განსხვავებული უფლებრივი მდგომარეობა. მისი აზრით, „საკუთრებით განუთხსა“ სრულ განუსაზღვრელ პირად კუთვნილად გადაქცევას ჰქონდა<sup>6</sup>. მისი ნააზრევადან გამომდინარეობს, რომ გიორგი ჩორჩანელის ქონების მეკვიდრეებია მარტოოდენ დისშვილები. ასე მაგალითად, როდესაც არკვევს ტერმინ „საკონელი“ მნიშვნელობას წერს, რომ...“ გ. ჩორჩანელმა თავის დისშვილებს უანდერძა აგარაკნი მრავლებით და სიმრავლეს აჯედართა და მროწელთა“<sup>7</sup>. გამოდის, რომ გიორგი ჩორჩანელმა თავისი ქონება „საკუთრებით განუთხსა“ მხოლოდ დისშვილებს. რაც შეეხება დის უფლებრივ მდგომარეობას, გ. ჩორჩანელმა, როგორც ვთქვით, ქონება, მას მხოლოდ „შე[ქ]ვედრა“. „შევედრება“-ს ი. აბულაძე განმარტაქს როგორც მიბარება, მინდობა, რწმუნება, „დაფარვა“<sup>8</sup>. ვფიქრობთ, ჩვენს მაგალითში „შე[ქ]ვედრა“ უნდა გავიგოთ, როგორც მიბარება, მინდობა. ივ. ჯავახიშვილი სპეციალურად ჩერდება შენავედრის არსზე, ასევე ანდერძობით შევედრებაზე (როცა ანდერძის აღმასრულებელზე მსჯელობს), მაგრამ გიორგი ჩორჩანელის ანდერძი აქ სანიმუშოდ არ მოჰყავს.

მოკლედ, ჩანს, რომ გიორგი ჩორჩანელმა დისშვილებისათვის ნაანდერძავე ქონება მიიბარა, მიანდო დას, როგორც ამ ბავშვების მეურვეს. სწორედ დამ უნდა განახორციელოს ამ ქონების მართვა. მისი შვილები, რომელთაც ბიძამ ქონება დაუტოვა საკუთრებით, არასრულწლოვნები იყვნენ და ცხადია, დამოუკიდებლად ვერც ამ უფლების დაცვას შეძლებდნენ და ვერც რეალიზაციას.

რაც შეეხება გიორგი ჩორჩანელის დისშვილთა სიძის პრეტენზიებს, როგორც დავინახეთ, ლიტერატურაში იგი არაერთგვაროვან ახსნას პოულობს. რადგანაც სახეზეა ანდერძით მემკვიდრეობა და თანაც მემკვიდრეები დისშვილებია და არა და, რაიმე კატეგორიული დასკვნის გაკეთება აქედან ქალის სამემკვიდრეო უფლებებზე ძნელია. ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გამწვავებული ბრძოლა ყოფილა ქალის მემკვიდრეობის უფლების გამო“<sup>9</sup>. ჩვენამდე მოღწეული მცირე წყაროებიდან ჩანს, რომ ადრეფეოდალურ საქართველოში ქალი სარგებლობს სამემკვიდრეო უფლებებით. გიორგი მერჩულეს თხზულება\* „ცხოვრებაა გრიგოლ ხანძთელისა“ — დან, რომელიც VIII-IX საუკუნეების საქართველოს სინამდვილეს ეხება, ვგებულობთ:

<sup>5</sup> ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, I, თბ., 1973, გვ. 189.

<sup>6</sup> ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 283.

<sup>7</sup> ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 300.

<sup>8</sup> ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 474.

<sup>9</sup> ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 284.

„და ვითარცა აღესრულნეს მშობელნი მისნი, მონაგები მათი დაუტევეს ზენონს და დასა მისსა, რომელიცა იყო სახლსა შინა მის თანა“<sup>10</sup>.

აქ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საქმე ეხება არა გათხოვილ ქალს, არამედ გაუთხოვარს — „რომელიცა იყო სახლსა შინა მის თანა“. ივ. ჯავახიშვილის აზრით... „მშობლების მონაგების დამკვიდრების უფლება ამ დას სწორედ იმიტომა ჰქონდა, რაკი იგი „იყო სახლსა შინა“ და, გათხოვილი არა ყოფილა. გათხოვილ ქალსა და დას, ვითარცა ზითვიანს, მშობლების მემკვიდრეობაში, როგორც ეტყობა წილი არა სდებია“<sup>11</sup>. ამდენად, გაუთხოვარი და გათხოვილი ქალების უფლებრივი მდგომარეობა მემკვიდრეობაში განსხვავებულია. გათხოვილი ქალის სამემკვიდრეო უფლებები არსებითად მზითვის უფლებით განისაზღვრებოდა. „ბასილი ზარზმელის თხზულების მიხედვით უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქალს გათხოვების დროს მშობლების ოჯახიდან ქონება ვაკქონდა მზითვის სახით“<sup>12</sup>. სავარაუდებელია, რომ გარდა ამისა დედულშიც შეიძლებოდა ჰქონოდა მას წილი. ამიტომ ყურადსაღებია ივ. ჯავახიშვილის აზრი, რომ „...ლაკლაკის დისწული ამტკიცებდა რომ დედულშიც გათხოვილ ქალებსაც წილი უნდა ჰრგებოდათ“<sup>13</sup>.

ბასილი ზარზმელის თხზულებაში მოცემულია ცნობები ანდერძის ფორმის, საიდუმლოებისა და სამკვიდროს გახსნის შესახებ. გიორგი ჩორჩანელის ანდერძი წერილობითი ფორმისაა. ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ „ჩვეულებრივ დაწერილი ანდერძი მოანდერძისაგან სანდო პირს, ხშირად სულიერ მოძღვარს, ჰქონდა ხოლმე მიბარებულნი რომელსაც მოანდერძეს გარდაცვალების შემდგომ ანდერძი უნდა მოეტანა და შემკვიდრეთათვის წაეკითხა“<sup>14</sup>. ბასილი ზარზმელის თხზულება, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, რომელიც სანიმუშო მაგალითად მოჰყავს ივ. ჯავახიშვილს, მართლაც იძლევა ამგვარი განზოგადების საფუძველს.

ბასილი ზარზმელის თხზულებაში ვკითხულობთ: „...მივიდა წმინდა ივო საფლავსა ზედა მისსა, მიწულდ და თანალ-მოზით იტირა. და ვითარცა ჯერიყო, მოიკითხა და ნუგეშინის-სცა დასა მისსა ლატავრის, რომელსა უკანა[მ]სკენლ თეკლა ეწოდა, და კურთხევითა საღმრთო[მ]თა აკუთხნა სამნივე ივი ყრმანი მსგავსად სამთა ყმათა აბრამიანთა. მერმე მოილო ანდერძი დიდისა მის მთავრისა გიორგისი და წარიკითხა აღსაყვამან ცერმალთა, და ილოცა მისთჳს და აკურთხა კურთხეული ივი კაცი, რამემე მიდრდა მეცა ყოველივე უხუებით: აგარკანი თავისუფლებით და საქონელი მრავალფერა და სიმრავლე სავედართა და მროწეულთა[მ]. და სასოებით შეჰვედრა სული მნიდისა მის კაცისა[მ]“<sup>15</sup>. როგორც ვხედავთ, „გიორგი ჩორჩანელს ანდერძი სერაპიონისათვის მიუბარებია, ვითარცა სულიერი მამისათვის, და განსვენებულის ნება და ანდერძი ჭირისუფალთათვის პირველად სწორედ მას

<sup>10</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს).. გვ. 263.

<sup>11</sup> ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 274.

<sup>12</sup> მ. ნადარეიშვილი, ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან, თბ., 1965, გვ. 122.

<sup>13</sup> ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 274.

<sup>14</sup> ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 277.

<sup>15</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I/V-X სს) გვ. 339.

უნდა გამოემყდარებინა და წაეციოხა“<sup>16</sup>. ამრიგად, დასტურდება ანდერძის საიდუმლოების მოთხოვნა, რაც სხვაგანაც ბევრგანაა ცნობილი. ვახტანგ გორგასალმა ოსებზე ლაშქრობის წინ ანდერძი „დღედასა მისა მისცა, და სხუასა არავეს აუწყა“<sup>17</sup>. ეს შეეხება უპირველესად წერილობით ანდერძებს, თორემ ზეპირი ანდერძის საიდუმლოების პრინციპზე დამყარება ხშირად შეუძლებელს ხდის თვით მისი არსებობის ფაქტის დადასტურებას. ანდერძის საჯაროდ წაკითხვა და ქირისუფალთათვის მისი გაცნობა დიდი მთავრის გიორგი ჩორჩანელის დასაფლავების დღეს მომხდარა. ეტყობა ამ დღიდან უკვე გიორგი ჩორჩანელის დისშვილებს ნაანდერძევე ქონებაზე წარმოემოხათ საკუთრების უფლება.

უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ანდერძის ზემოთმოტანილი ერთი ადგილი, რომელშიც ლაპარაკია, რომ გიორგი ჩორჩანელს... „რამეთუ მდიდრად მიეცა ყოველივე უხუებით: აგარაჲნი თავისუფლებით და საქონელი მრავალფერი და სიმრავლე სავედართა და მროწეულთა[ა]“, ჩვენის აზრით, ზოგიერთი მეცნიერის მიერ შეზღუდულადაა განმარტებული. კერძოდ, ივ. სურგულაძე აღნიშნულიდან გამომდინარე გამოთქვამს აზრს, რომ აქ ეკლესიისადმი ქონების დატოვებაზეა ლაპარაკი<sup>18</sup>. თავის სიცოცხლეში, გიორგი ჩორჩანელმა მართლაც ბევრი ქონება მისცა ეკლესიას „...ღმერთისმსახურმან გიორგი მისცნა ყოველნი საჭმარნი, ჯორები და კარაულები, და რაოდენა რაა უკმადა სიმრავლესა ძმათასა... ვინა[ა]ცა სოფლისნიცა (!) მისცნა კაცმან მან ღმრთისმან გიორგი“<sup>19</sup>. რაც შეეხება გიორგი ჩორჩანელის ანდერძს, აქ „ყოველნი ეკლესიანი“ ანდერძის ობიექტია და არა სუბიექტი — მემკვიდრე. ამიტომ, ზემოთაღნიშნულ ვითარებაში ლაპარაკია დისშვილებისადმი მემკვიდრეობით დატოვებულ ქონებაზე. ასე ესმის ანდერძის აღნიშნული ადგილი ივ. ჯავახიშვილს<sup>20</sup>.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“-ში დაცულია ცნობები კანონით მემკვიდრეობის შესახებ. ბასილი ზარზმელი გვამცნობს, რომ სერაპიონი და მისი ძმა დაობლდნენ და მონასტრის მოღვაწის მოწაფეები გახდნენ... „ხოლო უხუცესი იგი ძმამ წესითა მსოფლიოთა დამპყრობელ ექმნა მამულსა სამკუდრებელსა და იგივე შეიტკბო ტალანტი, მოღუაწებად უცხოთა და გლახაკთა“<sup>21</sup> ივ. სურგულაძის განმარტებით „გამოთქმა „დამპყრობელ ექმნა მამულსა“, იმას ნიშნავს, რომ მემკვიდრემ მიიღო მემკვიდრეობა, ე. ი. შევიდა მემკვიდრეობაში“<sup>22</sup>. მაგრამ ვინ მიიღო ეს მემკვიდრეობა? უფროსმა ძმამ, ხოლო უმცროსი ამას მოკლებულია. ეტყობა საუხუცესოს განსაკუთრებული სახე უნდა გეჭონდეს აქ.

როგორც დავინახეთ, ბასილი ზარზმელის თხზულება „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“ მეტად საინტერესო ცნობებს შეიცავს ადრეფეოდალური ხანის მემკვიდრეობითი სამართლის საკითხებზე. ვფიქრობთ, იგი მომავალში უფრო მეტ დაკვირვებასა და სრულყოფილ შესწავლას საჭიროებს.

<sup>16</sup> ივ. ჯავახიშვილი თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 277.

<sup>17</sup> ქართული ცხოვრება. ტ. I, თბ., 1955, გვ. 151.

<sup>18</sup> ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, I, თბ., 1973, გვ. 189-194.

<sup>19</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები წიგნი I/V-X/გვ. 335.

<sup>20</sup> ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 300.

<sup>21</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I/V-X სს/ გვ. 322

<sup>22</sup> ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, I, თბ., 1973, გვ. 184.

Б. И. ЗОИДЗЕ

## ГРУЗИНСКАЯ АГИОГРАФИЯ И НАСЛЕДСТВЕННОЕ ПРАВО

## Резюме

В работе рассматриваются некоторые спорные вопросы наследственного права в раннефеодальной Грузии по памятникам агнографической литературы. Основное внимание уделено такому известному памятнику этой эпохи, каковым является «Житие Серапиона Зарзмели».

Автор статьи считает, что великий князь Георгий Чорчанели, о котором говорится в «Житие Серапиона Зарзмели» все свое имущество завещал (по праву собственности) не сестре и племянникам (сыновья сестры), а только этим последним.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის განყოფილებამ.

### ბიოგრაფიული

## ირანის ისლამური რესპუბლიკის საკანონმდებლო ორბანოში რელიგიური ზედამხედველობის საკითხისათვის

ირანში შიიზმი ოფიციალურ რელიგიად ჯერ კიდევ XVI ს. დამდგეს გამოცხადდა. სეფიანთა ირანის მაგალითზე ვხვდებით, რომ შიიტური რელიგია ხელს უწყობდა ფეოდალური ურთიერთობის განმტკიცებას. სასულიერო წრეები გარკვეული ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ. ამას განაპირობებდა ის, რომ მათ ხელში იყო ვაკუფებიდან და შორეულენათა შორის გაწერილი გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი. ყოველივე ამან გამოიწვია ერთგვარი დაპირისპირება საერო და სასულიერო ხელისუფალთა შორის მიუხედავად იმისა, რომ ერთი-და-მეორეც არსებული წყობილების დამცველის როლში გამოდიოდნენ ირანის აბსოლუტური მონარქია დრო და დრო ცდილობდა შეეზღუდა უმაღლესი სასულიერო წრეების პიროვნებები.

ეს დაპირისპირება შესამჩნევად გამოვლინდა ირანის 1905-1911 წლების რევოლუციის პერიოდში. რევოლუციის პირველ ეტაპზე შიიტურმა სასულიერო წოდებამ, რომელიც დაინტერესებული იყო საერო ხელისუფლების დასუსტებითა და თავისი უფლებების გაფართოებით, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რევოლუციურ მოძრაობაში და მის ხელმძღვანელობაში.

იმდროინდელ პოლიტიკურ მოვლენებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე სეპარატიულად განწყობილი დიდგვაროვანი ფეოდალები. ეს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური ძალა ინტერესების ერთიანობამ დააკავშირა და კონსტიტუციის მოთხოვნის ლოზუნგით აამოძრავა. კონსტიტუციის მიღება და მეჯლისის დაარსება ამ რევოლუციის უმნიშვნელოვანესი მონაპოვრები იყო. მაგრამ კონსტიტუციის ძირითადი დებულებები ცხოვრებაში არ გატარებულა, ხოლო მეჯლისი სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლებსა და ფეოდალურ წრეებს შორის ძალაუფლებისათვის ბრძოლის ასპარეზად იქცა.

რევოლუციური გამოსვლების პერიოდში, როდესაც სახალხო მოძრაობაში კლასობრივი ძალები გამოიკვანა ხდებოდა, მიღებული იქნა კონსტიტუციის დამატება (1907 წ.), კონსტიტუციის დამატების საფუძველზე სასულიერო პირები მნიშვნელოვანი უფლებებით სარგებლობდნენ. დამატების პირველ მუხლში დადასტურებული იყო უკვე არსებული ფაქტი, რომ ირანის ოფიციალურ რელიგიას შიიტური მიმდინარეობის ისლამი წარმოადგენდა<sup>1</sup>. რელიგიურ ლიდერებს პარლამენტზე მეთვალყურეობის უფლება ენიჭებოდათ. იმ მიზნით, რათა კანონებს ისლამის ტრადიციებისათვის ზიანი არ მიეყენებინა.

<sup>1</sup> ირანის სახელმწიფო კონსტიტუცია (სპარსულ ენაზე), თეირანი, 1963 წ., გვ. 51.



კონსტიტუციის დამატების მეორე მუხლი ითვალისწინებდა სასულიერო პირებისაგან შექმნილი სპეციალური კოლეგიის შექმნას, რომელსაც კონტროლი უნდა ვაეწია მეჯლისის მიერ მიღებული კანონებისათვის, თუ რამდენად შეესაბამებოდნენ ისინი ისლამის დოგმებს. მაგრამ ამგვარი კოლეგია შემდეგში არ შექმნილა. ამის თავდაპირველ მიზეზად ის მიაჩნიათ, რომ პირველი ორი მოწვევის მეჯლისის შემადგენლობაში მნიშვნელოვანი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი სასულიერო პირები, რომლებსაც შეეძლოთ კანონების მიღებაზე კონტროლის ფუნქციის შესრულება. შემდეგი მოწვევის მეჯლისში სასულიერო წრეებს აღნიშნული კოლეგიის შექმნის საკითხი აღარ დაუყენებიათ.

ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაში ისლამის გააქტიურებას ადგილი ჰქონდა 70-იან წლებში. ამას მოჰყვა 1978-1979 წწ. ანტიმონარქიული, ანტი-იმპერიალისტური რევოლუცია, რომლის შემდეგადაც დაემხო შაჰის რეჟიმი და ირანის ისლამურ რესპუბლიკას ჩაეყარა საფუძველი.

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში სამი ორგანო არსებობს: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო სამივე ეს ორგანო ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია, მათ შორის კავშირი პრეზიდენტის მეშვეობით მყარდება. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს მეჯლისი, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს დადგენილებები და გამოსცეს კანონები.

1979 წლის 3 დეკემბერს მოწყობილ რეფერენდუმში ხმების ორი მესამედის უმრავლესობით მიიღეს ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია. კონსტიტუციის თითქმის ყველა მუხლს ყურანი, ისლამური ტრადიციები და ადათწესები უდევს საფუძველად.

კონსტიტუციის 5-ე მუხლისა და 107-112 მუხლების საფუძველზე გათვალისწინებულია „ველაიათ-ე ფაყიჰის“ ინსტიტუტის შექმნა და ჩამოყალიბებულია უფლება-მოვალეობანი<sup>3</sup>. „ველაიათ-ე ფაყიჰ“ არის ქვეყნის უმაღლესი ინსტანცია, რომელიც სახელმწიფოს ისლამურ დებულებათა საფუძველზე ხელმძღვანელობს.

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში სახელმწიფო მმართველობის პასუხისმგებლობა ეკისრება სამართლიან ფაყიჰს, რომელიც თანამედროვე საკითხებში გათვითცნობიერებული და პრინციპულია. ასეთ ფაყიჰს მოსახლეობის უმრავლესობა მოძღვრად აღიარებს (როგორც იყო ათათოლა რუჰოლა მუსაევი ზომეინი). მას ეკისრება მთელი პასუხისმგებლობა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე. როგორც ისლამურ კონსტიტუციაშია აღნიშნული პოლიტიკური და საზოგადოებრივი შორსმჭვრეტელობის, ენერგიულობისა და ხელმძღვანელობის უნარის გარეშე შეუძლებელია მოძღვრის ფუნქციების შესრულება.

უმაღლესი ფაყიჰის ფუნქციაში, სხვა უფლება-მოვალეობებთან ერთად, საზედამხედველო საბჭოს ფაყიჰების დანიშვნაც შედის.

კონსტიტუციის 91-ე მუხლის მიხედვით საზედამხედველო საბჭო იქმნება ისლამის სიწმინდისა და ქვეყნის ძირითადი კანონის დაცვის მიზნით<sup>4</sup>. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსგავსი კოლეგიის შექმნას 1907 წელს მიღებული

<sup>2</sup> ი ქ ვ ე, გვ. 52.

<sup>3</sup> ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია (სპარსულ ენაზე), 1979 წ., 15 ნომბერი, გვ. 26—28.

<sup>4</sup> ი ქ ვ ე, გვ. 22.

კონსტიტუციის დამატების მეორე მუხლიც ითვალისწინებდა, მაგრამ ასეთი კოლეგია სინამდვილეში არ შეუქმნიათ.

მხოლოდ 1978 წელს, რევოლუციური მოძრაობის დაწყების დროს, „გაახსენდა“ შაჰს ამ მუხლის არსებობა. ოპოზიციურ ძალებში განხეთქილების ჩამოგდების მიზნით, მან ცნობილ რელიგიურ მოღვაწეს აიათოლა შირიათ მადარის შესთავაზა ხელმძღვანელობა გაეწია რელიგიური ზედამხედველობის საბჭოსათვის (ხუთი ულემის შემადგენლობით). მაგრამ შირიათმადარიმ მაშინ უარი თქვა ამ დავალების შესრულებაზე<sup>5</sup>.

როგორც კონსტიტუციის 91-ე მუხლშია აღნიშნული საზედამხედველო საბჭოს შემადგენლობაში შედის ექვსი სამართლიანი და სადღესო საკითხების ღრმად მცოდნე ფაყიზი და იუსტიციის სხვადასხვა დარგში მომუშავე ექვსი იურისტი, რომლებსაც მუსლიმანური სამართლისმცოდნე პირებისაგან შეარჩევენ. მათ უმაღლესი სასამართლოს საბჭო წარუდგენს მეჯლისის ასარჩევად<sup>6</sup>.

საზედამხედველო საბჭო ფართო უფლებებით სარგებლობს. იგი კონტროლს უწევს ისლამური პარლამენტის („მაჯლესე შურაი-ე ესლამი“) საკანონმდებლო საქმიანობას. ამოწმებს მის მიერ მიღებულ კანონებს. მათ შესაბამისობას ისლამურ დოგმა-დებულებებთან.

საერთოდ, მეჯლისი არ არის უფლებამოსილი შეუდგეს თავისი ფუნქციების შესრულებას საზედამხედველო საბჭოს შექმნამდე.

მეჯლისი ოფიციალურად მხოლოდ მას შემდეგ დაიწყებს საქმიანობას, როდესაც დებუტატების რწმუნების სიგელები დამტკიცდება და არჩეული იქნება საზედამხედველო საბჭოს ექვსი იურისტი წევრი. მეჯლისის მიერ დამტკიცებული ყველა კანონპროექტი საზედამხედველო საბჭოს ეგზავნება. საბჭოს წევრები ვალდებული არიან ათი დღის განმავლობაში შეისწავლონ კანონპროექტი და იმ შემთხვევაში თუ იგი არ შეესაბამება ისლამურ ტრადიციასა და კონსტიტუციას, კანონპროექტს ხელმოკრედ აგზავნის მეჯლისში განსახილველად. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც კანონპროექტის შესასწავლად საზედამხედველო საბჭოსათვის ათი დღე საკმარისი არ აღმოჩნდება მას უფლება აქვს მეჯლისისაგან, არა უმეტეს კიდევ ათი დღე მოითხოვოს დამატებითი უფრო ღრმა შესწავლისათვის.

საზედამხედველო საბჭოს თითოეული წევრი ფართო უფლებებით სარგებლობს. მეჯლისში კანონპროექტების განხილვის დროს საბჭოს წევრებიც ესწრებიან და დებატებს ისმენენ.

პლენარულ სხდომაზე კანონპროექტი საბოლოოდ მტკიცდება. აქ საზედამხედველო საბჭოს წევრებმა თავიანთი აზრი უნდა გამოთქვან. მათი თანდასწრებით ხდება მეჯლისის შინაგანწყობის და კანონების შემუშავება<sup>7</sup>.

საბოლოოდ კანონების ყოველგვარი ცვლილება და გადასინჯვა ხაბარგანების (საქმის მცოდნე, გამოცდილი პირები) კომპეტენციაში შედის.

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საერო ხელისუფლება ფაქტიურად მთლიანად რელიგიური კონტროლის ქვეშაა მოქცეული და გავლენა დაკარგული აქვს.

კონსტიტუციის 110-ე მუხლში, რომელშიც განსაზღვრულია მოძღვრისა და მოძღვართა საბჭოს უფლება-მოვალეობანი, აღნიშნულია, რომ რესპუბ-

5 «Ислам в современной политике стран Востока, ВМ, 1986, с. 150.

6 ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია, გვ. 22.

7 ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია, გვ. 24.

ლიკის პრეზიდენტის კანდიდატურის შერჩევის საკითხი არჩევნებამდე უწინარეს ყოვლისა უნდა შეისწავლოს საზედამხედველო საბჭომ, ხოლო საბოლოოდ მას მოძღვარი ამტკიცებს<sup>8</sup>.

1985 წლის აგვისტოში, პრეზიდენტის მორიგი არჩევნების დროს, პრეზიდენტის კანდიდატურა მანამდე არ იქნა დამტკიცებული, სანამ საზედამხედველო საბჭო დაწვრილებით არ შეამოწმებს მის ერთგულებას ირანის ისლამური რესპუბლიკის პრინციპებისადმი.

უნდა ითქვას ისიც, რომ კონსტიტუციის 99-ე მუხლის თანახმად, პრეზიდენტის არჩევნების მიმდინარეობაზე მთელი პასუხისმგებლობა საზედამხედველო საბჭოს ეკისრება, ხოლო პრეზიდენტად არჩევის შემდეგ მისი წინადადებით წამოყენებული არც ერთი ღონისძიება არ გატარდება, თუ ამას საზედამხედველო საბჭოს წევრები არ დაამტკიცებენ.

კონსტიტუციის 68-ე მუხლში მოცემულია, თუ როგორ უნდა იმოქმედოს მეჯლისმა ქვეყანაში შექმნილი საგანგებო სიტუაციის დროს. აქ ნათქვამია:

„ომისა და ქვეყნის სამხედრო ოკუპაციის დროს რესპუბლიკის პრეზიდენტის წინადადებით და მეჯლისის დეპუტატების 3/4 გადაწყვეტილებით, რასაც საზედამხედველო საბჭო დაამტკიცებს, ოკუპირებულ რაიონებში ან მთლიანად ქვეყანაში მეჯლისის არჩევნები განსაზღვრული დროით წყდება და მეჯლისი დეპუტატების ძველი შემადგენლობით განაგრძობს თავის მოქმედებას“.

თვით კონსტიტუციის განმარტება, მისი დებულებების პროპაგანდა საზედამხედველო საბჭოს წევრების მოვალეობაში შედის.

ამგვარი რელიგიური ზედამხედველობის მიზანი, თუ კონსტიტუციის მიხედვით ვიმსჯელებთ, ირანის ისლამურ რესპუბლიკაში სამართლიანობის და თანასწორობის დაცვაა, მაგრამ სინამდვილეში საზოგადოების პრივილეგირებული ფენების ინტერესებს იცავს.

ქვეყანაში უმნიშვნელოვანესი სავაჭრო არტერიები ისეთი სავაჭრო-მონოპოლური ორგანიზაციების ხელშია, როგორცაა „თეირანის კორპორაციულ საქმეთა კომიტეტი“ და „ისლამური ეკონომიკის ორგანიზაცია“. ეს ორგანიზაციები მმართველი სასულიერო წრეების უშუალო მონაწილეობით შეიქმნა. სასულიერო წრეები დიდი ავტორიტეტითა და გავლენით სარგებლობენ სახელმწიფოს სხვადასხვა სფეროებში, მაგრამ მათი ეს ავტორიტეტი ირანელი ხალხის მშრომელ მასებს არავითარ სარგებლობას, არ აძლევს, პირიქით, ზიანს აყენებს მას.

ამის დასტურია ის, რომ „საზედამხედველო საბჭომ“ გააუქმა მეჯლისის მიერ მიღებული ისეთი მნიშვნელოვანი კანონები, როგორცაა მიწის რეფორმის 1982 წლის მარტის კანონი<sup>9</sup>, საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის მსხვილი სამრეწველო ობიექტებისა და ბანკების ნაციონალიზაციის კანონები, რომლებიც ქვეყნის შედარებით ნორმალური განვითარების, მისი ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ინტერესებით იყო ნაკარნახევი.

ერთი სიტყვით, პარლამენტის საზედამხედველო საბჭო, მიუხედავად იმისა, რომ ე. წ. „ისლამური სამართლიანობის“ იდეებს ქადაგებს, სინამდვილეში

<sup>8</sup> იქვე, გვ. 27—28.

<sup>9</sup> Ульяновский Р. А., победа и трудности национально-освободительной борьбы. М., 1985, с. 243.

თავისი მოქმედებით იცავს კერძო მესაკუთრეთა ინტერესებს, ხელს უწყობს მსხვილი (მემამულეების, კაპიტალისტების და სავაჭრო ბურჟუაზიის პოზიციების განმტკიცებას.

Г. Д. КАЦИТАДЗЕ

## К ВОПРОСУ РЕЛИГИОЗНОГО НАДЗОРА НАД ЗАКОНОДАТЕЛЬНОМ ОРГАНОМ ИСЛАМСКОЙ РЕСПУБЛИКИ ИРАН

Резюме

В политической жизни Ирана ислам активизировался в 70-х годах XX века. В революции 1976—1979 гг. шиитские лидеры сумели взять на себя руководящую роль и создали Исламскую Республику Иран.

В ИРИ существует три органа власти: законодательный, исполнительный и судебный. Они независимы друг от друга, а связь между ними устанавливается с помощью президента.

Законодательную власть осуществляет меджлис, который уполномочен принимать решения и издавать законы.

3 декабря 1979 года состоялся референдум, где большинством конституции, для защиты святыни ислама и основного закона страны (2/3 голосов) была принята конституция ИРИ. Согласно 91-му пункту создается совет надзора. Совет религиозного надзора пользуется большими полномочиями. Он контролирует законодательную власть исламского парламента («маджлесе шураме эслами»), принятые им законы и их соответствие исламским постановлениям и догмам.

Надзирательный совет парламента выражает точку зрения официальных кругов Исламской Республики Иран и несмотря на то, что он проповедует идеи «исламской справедливости», в действительности защищает интересы частных собственников и способствует упрочению позиции крупных собственников, капиталистов и торговой буржуазии.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
წევრ-კორესპონდენტმა ლ. ალექსიძემ.

დ. გ. ХЕЦУРИАНИ

## СИСТЕМА ОХРАНИТЕЛЬНЫХ ФУНКЦИЙ ГРАЖДАНСКОГО ПРАВА

Система охранительных функций гражданского права изучена более основательно, нежели система его регулятивных функций. Это, на наш взгляд, объясняется тем, что традиционно проблема гражданско-правовой ответственности постоянно является объектом пристального внимания ученых-цивилистов. В работах, посвященных различным аспектам этой проблемы, как правило, попутно исследуются и функции гражданско-правовой ответственности. В связи с этим, называют восстановительную, компенсационную, стимулирующую, воспитательную, превентивную, репрессивную, профилактическую, карательную, штрафную, пресекающую, сигнализационную, статусную, правообеспечительную, координационную функции, функцию защиты интересов социалистического государства и общества, функцию охраны прав и интересов субъектов гражданского права<sup>1</sup>.

Из приведенного перечня без особого анализа видно, что в цивилистической науке нет единства мнений относительно конкретных видов функций гражданско-правовой ответственности. Выделение, например, сигнализационной, статусной, координационной функции не выдерживает критики, ибо они не выражают сущность рассматриваемого явления и не вытекают из основных задач, стоящих перед ответственностью. Не лучше обстоит дело и в отношении некоторых других функций (например, стимулирующей), наличие которых у ответственности представляется спорным.

Стремление различных авторов возложить на ответственность выполнение нехарактерных, непривычных для нее функций является результатом гиперболизации данной категории, переоценки ее значения в осуществлении охранительных функций, отождествления всего охранительного воздействия с реализацией юридической ответственности. В действительности же меры ответственности составляют лишь часть единой системы гражданско-правовых охранительных мер и выполняют определенные подфункции в рамках общей охранительной функции

<sup>1</sup> См. Н. С. Малейн. Правонарушение: понятие, причины, ответственность, М., 1985, с. 145; А. Я. Рыженков. Компенсационная функция советского гражданского права, с. 28—48; М. А. Бестугина. Социальная обусловленность и назначение гражданско-правовой ответственности в современных условиях. Автореф. канд. дисс. М., 1986, с. 20; Гражданско-правовое положение личности в СССР, М., 1975, с. 173—174; А. М. Белякова, Вопросы методологии гражданско-правовой ответственности.— В сб.: Методологические и теоретические проблемы юридической науки, М., 1986, с. 95—97; Советское гражданское право. Под ред. О. А. Красавчикова, М., 1985, т. I, с. 504—505; Витольд Варкалло. Ответственность по гражданскому праву, М., 1978, с. 29 и др.



гражданского права. Поэтому для построения системы охранительных функций необходимо, прежде всего, разобраться в системе охранительных мер гражданского права. Четкая целевая направленность и специализация составляющих ее элементов даст надежные ориентиры в установлении конкретных охранительных функций отрасли.

Охранительные меры, закрепленные в санкциях гражданско-правовой нормы, являются «элементарными частицами» охранительной подсистемы отрасли и служат осуществлению ее общей охранительной функции. В то же время в зависимости от конкретной направленности они подразделяются на две группы — меры ответственности и меры защиты<sup>2</sup>.

Меры ответственности характеризуются тремя признаками: государственным принуждением, осуждением правонарушителя и его субъекта, наличием неблагоприятных последствий для правонарушителя. Названные три признака являются обязательными. Отсутствие хотя бы одного из них свидетельствует об отсутствии ответственности<sup>3</sup>.

Юридическим основанием применения мер ответственности является факт совершения правонарушения. Без правонарушения нет ответственности, т. е. ответственность наступает после совершения правонарушения. Следовательно, ответственность является реакцией государства на правонарушение.

В соответствии с этим меры ответственности направлены прежде всего на наказание виновного правонарушителя, т. е. главным образом выполняют карательную (штрафную) функцию. Меры ответственности гражданского права в отличие от соответствующих мер других отраслей выполняют также восстановительную функцию (например, возмещение правонарушителем убытков, уплаты компенсационной неустойки и т. д.). В некоторых гражданско-правовых санкциях, как отмечено в юридической литературе, карательная (штрафная) и восстановительная функции занимают даже однопорядковое, равное положение. Но определяющим в ответственности все же остается целенаправленное воздействие на правонарушителя<sup>4</sup>.

По мнению некоторых цивилистов, гражданско-правовая ответственность не направлена непосредственно на осуждение и наказание правонарушителя, а ее сущность выражается в восстановительной (компенсационной) функции<sup>5</sup>. Такое понимание функционального назначения гражданско-правовой ответственности, по справедливому замечанию Н. С. Маленина, объясняется стремлением обосновать и оправдать так называемую ответственность без вины, цель которой признается прежде всего в компенсации причиненного вреда, а не в наказании нарушителя<sup>6</sup>.

Компенсационное, восстановительное направление действительно характеризует гражданско-правовую ответственность, но оно, как было

2 См. Т. И. Илларионова, Система гражданско-правовых охранительных мер, автореф. док. дисс., Свердловск, 1985, с. 8—9; О. А. Красавчиков, Ответственность, меры защиты и санкции в советском гражданском праве, Сборник научных трудов СЮИ. Вып. 27. Свердловск, 1973; Г. И. Стоякин, Меры защиты в советском гражданском праве, автореф. канд. дисс. Свердловск, 1973.

3 См. Н. С. Маленин, Указ. соч., с. 134, 136.

4 См. С. С. Алексеев, Общая теория права, т. I, М., 1981, с. 281—282.

5 См. А. А. Собчак, О спорных вопросах ответственности, — Правоведение, 1968, № 1, с. 50.

6 См. Н. С. Маленин, Указ. соч., с. 147.

отмечено выше, не является для нее определяющим. Об этом свидетельствует хотя бы тот факт, что меры ответственности (штраф, неустойка, пеня) подчас применяются независимо от наличия убытков у потерпевшего, или же применяются сверх убытков (ст. 36 Основ гражданского законодательства, ст. 213 ГК ГССР). В этих случаях меры ответственности не преследуют цели восстановления нарушенного имущественного положения кредитора, они выступают прежде всего в качестве средства наказания лица за допущенное правонарушение. Кроме того, и что самое главное, ответственность всегда должна основываться на принципе вины, ибо вина является не только условием наступления ответственности, но и обоснованием существования самого института ответственности<sup>7</sup>. Тот факт, что в действующем гражданском законодательстве имеются нормы, устанавливающие имущественную ответственность независимо от вины причинителя вреда (например, ст. 90 Основ гражданского законодательства, ст. 463 ГК ГССР), скорее всего свидетельствует о несовершенстве законодательства, которое нуждается в изменениях с целью строгого разграничения случаев установления мер ответственности за виновное правонарушение и возложения обязанности по возмещению вреда (убытков) на основании риска<sup>8</sup>. В связи с этим, на наш взгляд, следует согласиться с предложением Н. С. Малейна о том, что при случайных убытках возмещение не должно быть больше размера действительных убытков, а при ответственности, кроме возмещения убытков, необходимо взыскивать штраф<sup>9</sup>. Иначе говоря, меры гражданско-правовой ответственности должны во всех случаях выполнять прежде всего карательную функцию.

Меры защиты не характеризуются наличием всех трех признаков, которые присущи ответственности. «Отсутствие отрицательных последствий и (или общественного) осуждения отличает меры защиты от мер ответственности»<sup>10</sup>. Таким образом, обязательным признаком мер защиты является лишь то, что они, подобно мерам ответственности, обеспечены государственным принуждением. В этом выражается сходство между ними.

<sup>7</sup> См. Л. С. Явич, *Общая теория права*, Л., 1976, с. 268; О. А. Красавчиков, *Возмещение вреда, причиненного источником повышенной опасности*, М., 1966, с. 154; Н. С. Малейн, *Указ. соч.*, с. 152 и след.; В. И. Зондзе, *Договорная и внедоговорная ответственность в механизме гражданско-правового регулирования*. — в кн. *Актуальные проблемы советского права*, Тбилиси, 1988, с. 186.

<sup>8</sup> Проблема риска в гражданском праве основательно исследована В. А. Ойгензихтом (см. В. А. Ойгензихт, *Категория «риска» в советском гражданском праве*. — *Правоведение*, 1971; он же, *Проблема риска в гражданском праве*, Душанбе, 1972; он же, *Воля и риск*. — *Правоведение*, 1984, № 4).

<sup>9</sup> См. Н. С. Малейн, *Указ. соч.*, с. 186.

По нашему мнению, заслуживает также поддержки идея о необходимости введения института страхования гражданской ответственности (страхования риска случайного причинения вреда), исключающего ответственности без вины и обеспечивающего вместе с тем интересы потерпевшего (см. М. Я. Шиминова, *Правовое положение граждан по возмещению вреда*. — В кн.: *Гражданско-правовое положение личности в СССР*, М., 1975, с. 189; Н. С. Малейн, *Страхование гражданской ответственности*. — *Советская юстиция*, 1962, № 11, с. 22; В. И. Зондзе, *К вопросу страхования имущественной ответственности владельцев автомобилей*. — *«Сабчота Самартали»*, 1985, № 4 и др.).

<sup>10</sup> Н. С. Малейн, *Указ. соч.*, с. 150.

Ряд авторов полагает, что меры защиты представляют собой ту часть гражданско-правовых охранительных мер, которая не связана с государственно-принудительным воздействием. На основе этого положения делается вывод, что критериями разграничения мер защиты и мер ответственности служат характер реализации конкретной меры (добровольный или государственно-принудительный) и субъект, ее применяющий (сторона правоотношения или юрисдикционный орган)<sup>11</sup>. В результате такого подхода получается, что если лицо добровольно возместит причиненный им имущественный вред, то он не несет ответственности, но при возмещении того же вреда через юрисдикционный орган наступает ответственность.

На необоснованность подобного суждения справедливо обращалось внимание в юридической литературе. В этой связи, в частности, отмечено, что в гражданском праве государственное принуждение пребывает как бы в скрытом виде. Поэтому даже добровольное исполнение лицом обязанности по возмещению причиненного им имущественного вреда имеет значение реализации юридической санкции, государственно-принудительной меры<sup>12</sup>. С другой стороны, не все охранительные меры, применяемые юрисдикционными органами, можно причислить к мерам ответственности (например, vindictia имущества у добросовестного приобретателя, признание права и т. д.), ибо они не сопровождаются осуждением правонарушителя и возложением на него имущественных лишений.

Характерные черты мер защиты особенно раскрываются в основаниях и целевом направлении их применения. Они применяются и до и после совершения правонарушения, а в некоторых случаях — и при правомерном поведении лиц (например, при причинении вреда в состоянии крайней необходимости — ст. 462 ГК ГССР), т. е. меры защиты могут применяться независимо от вины и состава правонарушения<sup>13</sup>.

Гражданско-правовые меры защиты не преследуют цели наказания правонарушителя, они направлены прежде всего на пресечение действий, нарушающих право, на восстановление нарушенных субъективных прав или правопорядка.

В силу отмеченных особенностей, присущих мерам защиты, они главным образом выполняют восстановительную и пресекательную функции. При этом главной, ведущей функцией мер защиты, в отличие от мер ответственности, является восстановительная функция<sup>14</sup>.

<sup>11</sup> См. М. А. Бестугина, Социальная обусловленность и назначение гражданско-правовой ответственности в современных условиях, с. 15; И. С. Самощенко, М. Х. Фарухшин. Ответственность по советскому законодательству, М., 1971, с. 60; С. Н. Братусь. Юридическая ответственность и законность, М., 1976, с. 85—86.

<sup>12</sup> См. С. С. Алексеев. Общая теория права, т. I, с. 271.

<sup>13</sup> См. Я. Н. Шевченко. Средства защиты в гражданском праве. — Советское государство и право, 1977, № 7, с. 59.

<sup>14</sup> В юридической литературе восстановительная и компенсационная функции подчас отождествляются и употребляются как синонимные понятие, что, на наш взгляд, является неверным. Дело в том, что компенсация является более узким понятием, нежели восстановление. Она применима лишь к имущественным отношениям. А что касается неимущественных отношений, то в случае их нарушения можно говорить не о компенсации, а о восстановлении неимущественного положения субъекта. Поэтому рассматриваемую функцию целесообразно именовать не компенсационной, а восстановительной. (Подробнее по этому вопросу см. Ш. Менглиев. Восстановительные правоотношения в советском гражданском праве, с. 12—18).

С учетом вышеизложенного, в рамках общей охранительной функции гражданского права можно выделить следующие подфункции:

**восстановительная** (реституция, виндикация, возмещение договорных убытков, внедоговорного вреда и т. д.);

**пресекательная** (отказ от договора, меры недействительности, оперативные меры, негаторный иск и т. д.);

**карательная** (лишение права, взыскание неустойки, штрафа в пользу государства, и т. д.).

Из этих подфункций исключительно мерами ответственности осуществляется карательная подфункция, так как только меры ответственности определяют объем гражданско-правового наказания правонарушителя. Мерами защиты осуществляется пресекательная подфункция. А что касается восстановительной подфункции, то она реализуется как мерами защиты, так и мерами ответственности. Как видим, функции мер защиты и ответственности в определенной степени могут совпадать<sup>16</sup>.

В группе специально-юридических функций гражданского права регулятивная функция занимает ведущее положение, а охранительная функция подчинена ей и служит ее беспрепятственному осуществлению. Служебная подчиненность охранительной функции проявляется в том, что основным звеном охранительной подсистемы данной отрасли права являются меры защиты. Они составляют подавляющее большинство гражданско-правовых охранительных мер и имеют более богатый арсенал, нежели меры ответственности. Именно меры защиты, обеспечивающие пресекательно-восстановительную направленность гражданско-правового охранительного воздействия, наиболее пригодны для всемерной охраны субъективных гражданских прав. Кроме того, вышеуказанным обстоятельством объясняется определенная приспособленность мер ответственности к восстановительным задачам охранительной функции гражданского права, которая находит свое выражение в отмеченном нами факте совпадения функции мер защиты и мер ответственности.

Служебная подчиненность охранительной функции сказывается и в том, что охранительные нормы, их субинституты, как правило, составляют структурные звенья регулятивных институтов и подотраслей (права собственности, обязательственного права, авторского права и т. д.)<sup>17</sup>.

<sup>15</sup> В предложенной системе охранительных функций не нашлось места предупредительно-воспитательной подфункции, наличие которой у гражданского права не вызывает сомнений. Но раз она характеризует гражданское право с точки зрения его идеологического воздействия на сознание индивидов, то она относится к разряду социально-психологических функций данной отрасли права.

<sup>16</sup> «Всем правоохранительным мерам (мерам ответственности, иным мерам защиты). — пишет Д. В. Русиашвили, — присуща компенсационная, восстановительная функция. Она является существенным признаком, характеризующим названные юридические институты» (см. Д. В. Русиашвили. Категория противоправности в гражданском праве. — В кн.: Гражданско-правовая норма и формы ее применения. Тбилиси, 1982, с. 74).

<sup>17</sup> См. Т. И. Илларионова. Система гражданско-правовых охранительных мер, с. 8.

Наиболее общие способы и средства гражданско-правового охранительного воздействия, определяющие круг конкретных охранительных мер, содержатся в нормах Общей части гражданского законодательства (ст. ст. 5 и 6 Основ гражданского законодательства. ст. ст. 5 и 6 ГК ГССР). Кроме перечисленных в этих нормах, допускается также применение иных средств, предусмотренных законом. К ним относятся, например, меры обеспечения исполнения обязательств (залог, задаток и т. д.), меры самозащиты (необходимая оборона, действия в состоянии крайней необходимости), оперативные меры и др.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სა-  
მართლის კვლევის ცენტრის მართვის სამართლებრივი პრობლემების  
განყოფილებამ



### სულხან გომინავა

#### „აღმშვიდობის კარის ბარიერების“ ერთი ადგილის გაბეჭვისათვის („სააჯო კარი“)

ერთიანი საქართველოს ფეოდალური მონარქიის სახელმწიფო და სასამართლო წყობილების უკეთ ვარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი დანაწესების შესწავლას, როგორც სააჯო კარია, რომელიც ქართულ ისტორიულ თუ ისტორიულ-სამართლებრივ ლიტერატურაში საგანგებოდ არ გამოკვლეულა. საკითხი რთულია, ე. ი. მისი ბუნების ამოხსნა იოლი საქმე არ არის და ამდენად სიფრთხილეს მოითხოვს. სააჯო კარის შესახებ მრავალ მკვლევარს გამოუთქვამს მოსაზრება სხვადასხვა პრობლემების დამუშავებისას (26, 340-342; 4, 39-41; 5, 193-195; 7, 29-30; 18, 88-90; 1, 134-136; 13, 541; 3, 86-94; 2, 64-68; 12, 164-165; 10, 255-258; 22, 103 და სხვ.), მაგრამ ბევრი რამ ჯერაც დასაზუსტებელი ჩანს (18, 88; 3, 87).

ყველა, ვინც „სააჯო კარის“ გამოკვლევას ცდილა, მას უმადლეს სასამართლო დაწესებულებად მიიჩნევს. ივ. ჯავახიშვილმა მისი შექმნა დავით აღმაშენებლის სასამართლო რეფორმებს დაუკავშირა (26, 341-342). იგი დაეყრდნო დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობას, რომლის მიხედვით „სლვათა შინა თვსთა სამეფოსათა სიმრავლითა სპათათა და სიმალთა სლვისათა ვერ ადვილად მიემთხუდრიათ მოჩივარნი და დაჭირებულნი და მიმძლავრებულნი, განალა ვეითლამე რომელთა საჭიროდ უკმდის განკითხვა და შეწყვენა მეფობრივი, ანუ უკუე და ვინმე ადვილის ბორცუსა ზედა რასმე, გზისა მახლობელსა, ანუ კიდეცა, გინა თუ ხესა, ვითარცა ზაქე. უკეთუ ოდენ ეპოვოს ესევეთარი რამე, და მუნით საცნაურ ყვის ჭრტინვა თვსი, ამისათვის დაედგინეს კაცნი მართლად მცნობელნი და განმკითხვარნი მოჩივართანი, რომელთა მიერ მიიღებდეს კურნებასა“ (14, ტ. 1, 354). მაგრამ, როგორც ი. ანთელავამ და ჯ. სტეფანაძემ შენიშნეს, წყაროში ამ კაცების სასახლეში დადგენის შესახებ კი არ უნდა იყოს ლაპარაკი, არამედ ქვეყნის სხვადასხვა მხარეში მათ წარგზავნაზე. ჩანს, დავით აღმაშენებელს ადგილობრივი სასამართლო სისტემის რეორგანიზაცია მოუხდენია (3, 87; 12, 164) და თავისი წარმომადგენლები გაუგზავნია ადგილებზე, ე. ი. ერისთავების იურისდიქცია შეუზღუდავს\*. აღნიშნული ღონისძიება სერიოზული დარტყმა უნდა ყოფილიყო სენიორალური დამოუკიდებლობის თვალსაზრისითაც. ამ გზით ფეოდალთა შემოსავლის ამ ნაწილის მითვისების თანამონაწილედაც სახელმწიფო — მეფე ხდებოდა. ამრიგად, დავით IV-მ ადგილობრივი სასამართლოს რეფორმით, როგორც ძლიერ და ენერგიულ მეფეს შეეფერებოდა, მართლმსაჯულება მთლიანად თავის ხელში მოაქცია.

\* დავით აღმაშენებლის ეს რეფორმა კარლოს დიდის მიერ ადგილებზე „წარგზავნილების“ (missi dominici) განწყობას გვაგონებს. ისინი ფართო სასამართლო უფლებებითაც იყვნენ აღჭურვილნი. მათ შეეძლოთ, სასამართლო სხდომები მოეწვიათ გრაფების ნაცვლად ან მათთან ერთად (27, 27-28; 31, 173).

პირველად „სააჯო კარი“ შიომღვიმის მონასტრის IX-X სს. საბუთში ჩანს. ესა ბეგრის დადების დაწერილი შიომღვიმისა, რომლითაც განსაზღვრულია ხელისუფლებასთან მონასტრის დამოკიდებულება. მიქაელ მემღვიმე ვაგმცნობს: „გარდავე ლიხთ იმერით და მოვილე თავისუფლობისა ბრძანება კონსტანტინესა და ბაგრატისი, კახთა მეფეთა ფალგესა და კუირიკესი“-ო. ეს ბრძანება კი ასეთია: „მითავისუფლებიან ყოველთავე კელოსანთაგან: მოლარეთაგან, მეუღლუფეთა, მეჭინიბეთა, მესაბანჯრეთა, მეგოდრეთა, მეჯამეთა, ყოველთა დარბაზით გამოსულთა კელოსანთაგან“-ო. შემდეგ „დაწერილში“ აღნიშნულია: „თუ ვინმე გაწყენდეს და არეინ რას ვაგიგონებდეს, სააჯოს კარსა მიიხუენით“-ო (16, 4; 15, 19). ნ. ბერძენიშვილის აზრით, აქედან ჩანს, რომ სააჯო კარს მისულ მოჩივარს (ამჯერად შიომღვიმის მონასტრის) ორნაირი „უსამართლო სჭირს“. ერთი მისგან, ვინც „აწყინა“ — ასეთი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც სახელმწიფო მოხელე, ისე კერძო პირიც, და მეორე იმისგან, ვისაც უნდა „ვაეგონა“ და არ „გაუგონია“ — ასეთი შეიძლებოდა ყოფილიყო სახელმწიფო დაწესებულება — სასამართლო ან სასამართლოს მოხელე (4, 40).

ვაგაქვს მეორე საინტერესო საბუთიც, რომლისთვისაც დღემდე რატომღაც ყურადღება არაავის მიუქცევია. ეს არის თ. ჟორდანიას მიერ XV ს-ის I ნახევრით (1438 წ.) დათარიღებული საბუთი. საჭიროდ ვთვლით, ეს დოკუმენტი, თ. ჟორდანიას გამოცემის მიხედვით, მცირეოდენი შემოკლებით მოვიტანოთ: „ჟ. სახელითა ღთისკათა ჩუენ პატრონმან მეფემან ალექსანდრე ესე უკუნისამდე ყამთა გასათავებელი წიგნი და ნიშანი გკადრეთ და მოგაკსენეთ თუქენ... დედა-ქალაქსა მცხეთისა საყდარსა და... ქართლისა პატრიარქსა კუსსა შიოს მას ყამსა, ოდეს შლილობისაგან მცხეთისა და გარეჯისა უღაბნოსა მამულთა მათნი მემზღურენი შემოეცილნეს და რაცა არაგუსთა აქათ მცხეთისა მამულნი იყუნეს, მექმეობით რომელთამე მიიტაცნის. ვქენით მოკითხული და რა გუარცა ვუმართებდა, ძველნი გუჯარნი და სიგელნი მოვახუმევიენეთ და ვითა არავის მართებდა, აგრე ჩამოგხსენით და არავის-რა საქმე დავადებიენეთ არა დიდთა და არა მცირეთა, რაგუარცა არავეინ ღირს ყოფილა: ჭავჭავაძესა ფაროდის ზეკნელისძისა პროკოპის-თვს ნატყუარი სიგელი დაწერიინა ვანთისა, ვარცისა და ღუმას-უბნისა და რა-გუარცა ტყული იყო, აგრეთ ვავაცუდეთ და ფიცითა გარდაწყდა და უღაბნო-სავე დარჩა. ამას გარედ რაცა ვარეჯისა უღაბნოსა მამულნი არიან და გუჯარები ძეს მთას იქითისა და მთას აქითისა, რაგუართადაცა ამას წინად ჩუენთა გუართაგან კელმეუვალნი ყოფილან, მით წესითა დაგიმტკიცეთ და მოგაკსენეთ... ამას გარეთ ერწოს ორი სოფელი ნოდოკრა და გორანა მათითა მზღურითა ერთობით ყუელანი, რაგუარცა ძუელთა გუჯართა შივა სწერია, ბიწმენი მისითა მზღურითა, ხატის-წობენა, ძაგნაკორნათა, რაცა მცხეთისა არის, ჭუარი, ჭაჭუ, ფოსუი, კუტალას ორნი კუამლნი კაცნი. ამას გარეთ ნიწობლისძისეულის მამულისა და ოქრობირის შვილისა მამული გარდაუწყვეტელი დარჩა და სააჯოს კარი არ დაგეჭიროს, და ვისაცა მცხეთისა მამულთანა საქმე ედვას, იგი სამართლითა გარდაწყდეს“... (19, 244).

ზემით მოტანილი საბუთებიდან „სააჯო კარი“ საშუალებდო რგოლს უნდა წარმოადგენდეს მეფესა და მომჩივანს შორის. პირველ შემთხვევაში საქმე ეხება შიომღვიმის მონასტრისათვის მინიჭებულ „შეუვალობის“ დარღვევას, რაც პირადად მეფის უფლებების შელახვასაც უღრბდა. მცხეთისა და გარეჯის

უღაბნოთა მამულების საკითხიც, ჩვენი აზრით, მეფის გარეშე ვერ გადაწყდებოდა.

„სააჯო კარის“ გარკვევაში არსებული ხარვეზი გამოწვეული უნდა იყოს „ველმწიფის კარის გარიგების“ იმ ადგილის მცდარად გაგების გამო, სადაც „სააჯო კარზეა“ ლაპარაკი. ხელნაწერში ვკითხულობთ: „ჰყონდელი ორშაბათს დღეს სააჯო კარსა შიგან დაჯდების, ობოლთა და ჰქერიეთა და მიმძლავრებულთა მოჩივართა განიკითხავს. და ყოველი საწოლის მწიგნობარი გვერდს უზის. და ზარდახანის მწიგნობარს გაგზავნის და მისის პირით მოავსენებს, რაც ვის რა სჭირს. და რასაც მისის პირით ვერ დაიურვებს, ადგების და, რა ჟამსა ჟამი იყოს, თვით მივა და მაშინ იურვის, რაც ვის უსამართლო სჭირს; არ მოეშვების, რომ არ დაიურვოს“ (24).

ეს ადგილი ხელნაწერის მიხედვით იმიტომ მოვიტანეთ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია „მოახსენებს“ სიტყვის წყაიხება, როგორც „მოახსენებს“, რაც სულ სხვა შინაარსს აძლევს ამ წინადადებას. ასეა, მაგალითად, ივ. სურგულაძის მიერ გამოცემულ ტექსტში (18, 34). ივ. ჭავჭავიძე კი, რომელიც „ველმწიფის კარის გარიგების“ ტექსტის დადგენაზე მუშაობდა, ამ სიტყვას ისევე ტოვებს, როგორც ხელნაწერშია (25, 387)\*, თუმცა თავის „ქართული სამართლის ისტორიაში“ აღნიშნავს, რომ „ზნა „მოახსენებს“ დამახინჯებული უნდა იყოს და თავდაპირველად, რასაკვირველია, ეწერებოდა „მისის (ე. ი. ზარდახანის მწიგნობრის) პირით მოიჯსენებს (ხაზგასმა ავტორისაა — ს. გ.), რაც ვის რა სჭირს“-ო. მოხსენება ხელქვეშეთისა, ან უმცროსისაგან უფროსისადმი წარდგენილ ცნობას ჰნიშნავდა. ამიტომ „მოახსენებს“ რომ სწორედ ყოფილიყო, მაშინ უნდა გვეგულისხმა, რომ თვით მწიგნობართუხუცესს თავისზე უფროსისთვის უნდა მოეხსენებინა საქმის გარემოება. ვაზირთა-უპირველესზე მალა საქართველოში თვით მეფე იღვა“ (26, 347).

ვფიქრობთ, მოტანილი ტექსტი სწორედ მწიგნობართუხუცესის მიერ ზარდახანის მწიგნობრის მეფესთან გაგზავნას და საქმის გარემოებების მისი პირით მოხსენებას გულისხმობს. არის საფუძველი, ვიფიქროთ, რომ შედარებით ადვილად გადასაწყვეტი საქმეების შესახებ ზარდახანის მწიგნობარს თან ჰქონდა განჩინება-გადაწყვეტილებაც, რომელიც მეფეს უნდა დამტკიცებინა. თუ მეფე ზარდახანის მწიგნობრის მოხსენებით არ დაკმაყოფილდებოდა და განჩინება-გადაწყვეტილებას არ დაამტკიცებდა, ე. ი. მის სისწორეში დაეჭვდებოდა, მაშინ თვით მწიგნობართუხუცესი უნდა ხლებოდა და თავისი განჩინება-გადაწყვეტილების სისწორე დაესაბუთებინა\*\*. ასეთი რამ კი, თუ გავითვალისწინებთ ჰყონდიდელის სიახლოვეს მეფესთან, ალბათ, იშვიათად ხდებოდა.

\* უცვლელად არის ეს სიტყვა დატოვებული „ველმწიფის კარის გარიგების“ სხვა გამოცემებშიც (23, 3; 16, 82).

\*\* საკვლევ თემაზე მუშაობა დამთავრებული გვექონდა, როცა საშუალება მოგვეცა, გვენახა „ველმწიფის კარის გარიგების“ ჩვენთვის საინტერესო ადგილის ვ. დონდუასელი რუსული თარგმანი (იგი მოგვაწოდა პროფ. დ. ფურცელაძემ, რომელიც ამ თარგმანის რედაქტირებაზე მუშაობს, რისთვისაც მადლობას ვუხდით). აი, ისიც: «(Чкондидели посылает) к царю зардахнис-мшигнобара и его устами докладывает ему, кто какое беззаконие терпит. Если чего-либо не уладит через посланного, то встанет и в подходящий час сам к нему «вится; тогда-то улаживает кто какое беззаконие терпит. Не отступит, пока не уладит!».

აი, ამას უნდა გულისხმობდეს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა, რომლის მიხედვით „იყო ამისი (ჰყონდიდელის — ს. გ.) კელისანი ქვრივ-ობოლნი და დავრდომილნი, უსამართლო-ქმნილნი და შეჭირვებულნი. ესე აუწყებდა ამათთა ყოველსავე მეფესა“ (ხაზგასმა ჩვენია — ს. გ.) (14, ტ. IV, 27). ამასვე არაპირდაპირ ემოწმება „კარაბადინის“ XIII ს. თარგმანის ცნობილი მინაწერიც, სადაც აღნიშნულია, რომ მწიგნობართუხუცესი იყო „სამართო-ათა მსჯავრითა მართლმსაჯული და კელის-ამპყრობელი უღონოთა და ქურცი-თა“ (21, 3).

ჩვენი აზრით, საქმე უნდა გეჭონდეს სამართალწარმოების იმ სახესთან, რომელიც მოგვიანებით, ქართლ-კახეთის სამეფოში არსებულ სამართალწარმოების წესს ენათესავება (9), სადაც განაჩენ-გადაწყვეტილება იმას უნდა დაემტკიცებინა, ვისაც მიმართავდნენ. განაჩენ-გადაწყვეტილება მასზე უბრალო რეზოლუციის დადებას როდი ნიშნავდა. ამ დროს საჭირო იყო, დამამტკიცებელს იგი გულდასმით წაეკითხა და მის სამართლიანობაში დარწმუნებულიყო. ხდებოდა, რომ განაჩენი არ დაუმტკიცებიათ, რადგან მისი „სიმტკიცე ვერ ეპოვათ“. მეფეს უშუალოდ კი არ მიართმევდნენ ხოლმე განაჩენ-გადაწყვეტილებას დასამტკიცებლად, არამედ ამას აკეთებდა სპეციალური თანამდებობის პირი — მეარზე (შდრ. ზარდახნის მწიგნობრის საქმიანობა), რომელსაც ევალებოდა, სათანადოდ განკუთვნილ საათებში მეფისთვის განაჩენ-გადაწყვეტილებები წარედგინა დასამტკიცებლად (9, 286, 289, 291-292).

ამრიგად, მეფეს მწიგნობართუხუცესისთვის მართლმსაჯულების იმ სფეროს დელეგირება მოუხდენია, რომელიც ჰყონდიდელთან, როგორც ეპისკოპოსთან, ახლოს იყო\*. ამით მართლდებოდა „დიდი სჯულისკანონის“ პრინციპიც: „...სამართალ-ყოფად ეპკონე, რაათა ეპისკოპოსმან მას მისცეს თავი თვისი შემწედ, რომელი იმძლავრებოდეს ვისგანმე, ანუ ქურციე ვინმე მიხუევილ იქმნებოდეს, ანუ კულად თბოლი ვინმე საქონელთაგან თვსთა დააკლდებოდის და უკუეთუ ამით პირთათვს იქმნებოდეს, ჯეროვან და სამართალ არს ვედრება და თანამზრახველობაჲ მისი“ (6, 280-281). აქვე შევნიშნავთ, რომ „სააჯო კარი“ არ უნდა განვიხილოთ როგორც მხოლოდ ქვრივ-ობლებისთვის ხელმისაწვდომი უწყება, რადგან იქვე ჩანს „მიმძლავრებულებიც“. „მიმძლავრებულებში“ კი სხვადასხვა კატეგორიის ხალხი შეიძლება იგულისხმებოდეს. დაძვინთ, აგრეთვე, რომ „სააჯო კარში“ მწიგნობართუხუცესის საქმიანობასთან დაკავშირებით განხილულ ცნობებში ჩანს „ქვრივ-ობლები“, მაგრამ ვერ ვხედავთ „გლახაკებს“, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ მწიგნობართუხუცესი სოციალური უზრუნველყოფის მინისტრიც იყო (8, 561; 11, 54). არ გამოვირიცხავთ, რომ შესაძლოა, მწიგნობართუხუცესი მართლაც იღებდა მონაწილეობას „გლახაკობასთან“ დაკავშირებული საკითხების გადაჭრაში, მაგრამ, მაინც, არ შეიძლება, გლახაკები და „სააჯო კარის“ ქვრივ-ობლები გავათანაბროთ, ე. ი. ქვრივ-ობლობა სულაც არ გულისხმობს აუცილებლად „გლახაკო-

\* მსგავსი სამართალწარმოება არსებობდა შუა საუკუნეების ინგლისში, სადაც გარკვეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეებს კანკლური იხილავდა. იგი ბუნებითი სამართალთ სჯიდა მეფის, როგორც „მართლმსაჯულების წყაროს“ სახელით, ეწინიდან არზა-თხოვნები მეფის სახელზე შემოდიოდა. დამახასიათებელია ისიც, რომ 1474 წლამდე არ არსებობს საკუთრივ კანკლურის სახელით გამოცემული არც ერთი განჩინება (33, 139-140, 150; 32, 158-159).

ბას“, თუმცა ქვრივ-ობლები ერთ-ერთი კონტინგენტი, რომელიც „გლახაკობის“ რეზერვს წარმოადგენს; იგივე ითქმის „დავრდომილებზეც“.

ჩვენ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ გაგლახაკებულ-გამათხოვრებულ ადამიანს „სააჯო კარში“ საქმე არ ჰქონდა, რადგან იგი სხვა უწყების „განსაგებლს“ შეადგენდა. ხოლო რაც შეეხებათ ქვრივ-ობლებს, მათი ვეგლახაკება სახელმწიფოსათვის სასურველი არ იყო, რადგან ეს იწვევდა გაღარიბებულთა უკმაყოფილებას, „მპარავობას“, „მეკობრეობას“ და სხვ. თვით ქვრივ-ობლებიც, რა თქმა უნდა, მიძლავრების ყველაზე ადვილი ობიექტები იქნებოდნენ. „სააჯო კარის“ ქვრივ-ობლები, როგორც ჩანს, თავისუფალი მიწისმფლობელები და ხშირად ყმა-მამული პატრონებიც უნდა ყოფილიყვნენ\*, რაც კარგად მტკიცდება გვიანდელი ხანის საბუთებით (17, საბ. №№ 47, 107, 213, 229, 265, 289, 415, 705, 784 და სხვ.).

„სააჯო კარში“ მწიგნობართუხუცესთან ერთად ვხედავთ საწოლის მწიგნობარს. იქვე ჩანს ზარდახნის მწიგნობარიც, რომელიც საქმის გარემოებების ცოდნის გარეშე მეფეს ვერ მოახსენებდა. ი. ანთელავამ უკანასკნელ ხანს გამოთქვა მოსაზრება, რომ ორშაბათის გარდა სხვა დღეებში სხვა პირები ისხდნენ და სხვა სახის „აჯებს“ იხილავდნენ (3, 89). ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ, თუკი სხვა დღეებშიც მოქმედებდა „სააჯო კარი“\*\*, იქ სხვა მწიგნობრები ისხდებოდნენ, რადგან, როგორც თვით სიტყვა „სააჯო“ გვიჩვენებს, იგი პირველ რიგში ყველანაირი „აჯის“ თავშესაყარი უწყება უნდა ყოფილიყო, ე. ი. „სააჯო კარი“ სამეფო იუსტიციის კანცელარიასაც წარმოადგენდა.

„სააჯო კარში“, როგორც ჩვენს მიერ მოტანილი მაგალითებიდან ჩანს, სამოქალაქო არზები შედიოდა. „სასისხლო“ საქმეზე, საფიქრებელია, „სააჯო კარს“ არ მიმართავდნენ.

ვინც „სააჯო კარს“ შეეხებია, თითქმის ყველა თავს არიდებს საკითხს პროცესის მხარეების შესახებ. ცნობების გულდასმითი ანალიზიც კი ვერ გვაძლევს ამის გასაღებს. ამიტომ ჩვენ თავს უფლებას ვაძლევთ, საკუთარი მოსაზრება გამოვთქვათ. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ სამართალწარმოებაში შეჯიბრებითობის არარსებობა იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ საქმე გვაქვს ე. წ. „რესკრიპტულ“ პროცესთან. სამართალწარმოების მსგავსი სახე არსებობდა რომში, იმპერიის ხანაში. მხარე, სანამ სარჩელს აღძრავდა, არზით მიმართავდა იმპერატორს. არზაში გადმოცემული იყო საქმის შინაარსი და თხოვნა. თუ საქმის საბოლოოდ გადაწყვეტა ფაქტების გამოძიების გარეშე არ ხერხდებოდა, იმპერატორს გამოჰქონდა მხოლოდ პირობითი გადაწყვეტილება, რასაც *rescriptum*-ი ეწოდებოდა და ჩვეულებრივ არზაზე წააწერდნენ ხოლმე. მთხოვნელი იმპერატორის რესკრიპტიანი არზით ჩვეულებრივ სასამართლოს ან ამ რესკრიპტით დანიშნულ მოსამართლეს მიმართავდა და ამის შემდეგ იწყე-

\* დასავლეთ ევროპაშიც ქვრივ-ობლები მეფის პირად მფარველობაში იმყოფებოდნენ. თუმცა ეს ქვრივ-ობლები „გლახაკები“ კი არ იყვნენ, არამედ აზნაურთა და მიწისმფლობელთა ქვრივ-ობლები. მათ შეეძლოთ, უშუალოდ მიემართათ მეფისათვის *reclamatio*-თი, ე. ი. „აჯა“-ვედრებით (27, 26-27). საინტერესო ფაქტია აღნიშნული კარლოს დიდის დარიგებაში მისი მემკვიდრის, ლუდოვიკოსადმი. იგი ურჩევს შვილს — ნუ ჩამოართმევს იბოლს ფეოდს და ნუ გამოსძალავს ქვრივს უკანასკნელ გარშს (29, 87-88).

\*\* ვახტანგ VI-ც ორ შაბათს და პარასკევს „დაჯდის სამდივნოსა სახლსა“ და „განავებდა სამართალს“ (20, 322-323).



ბოდა კოგნიციური პროცესი. იმპერატორის რესკრიპტით გამოტანილი გადაწყვეტილება სავალდებულო იყო მოსამართლისათვის, თუ მოსარჩლის მიერ მითითებული ფაქტები დამტკიცდებოდა (30, 156). სამართალწარმოების ეს სახე ფართოდ გამოიყენებოდა ბიზანტიაშიც (28, 188-189), და რაც მთავარია, გვიან, ქართლ-კახეთის სამეფოში. პროცესის ამ სახეს ი. დოლიძემ პირობითად „საოქმო პროცესი“ უწოდა (17, VIII).

დაბოლოს, გვინდა შეეჩერდეთ „სააჯო კარის“ შექმნის საკითხზეც. საფიქრებელია, რომ იგი დავით აღმაშენებლამდე არსებობდა, შესაძლოა, სხვა სახელით (3, 88). არც ის არის უეჭველი, რომ დავით აღმაშენებლის მიერ „სააჯო კარის“ ორგანიზაციაში შეტანილი სიახლე მასში მწიგნობართუხუცესის დასმა უნდა იყოს (იქვე). მწიგნობართუხუცესის თანამდებობა ადრეც (მაგ., ბაგრატ IV-ის დროს) იყო (ისევე, როგორც „სააჯო კარი“) და არ არის გამორიცხული, რომ მას მაშინაც მწიგნობართუხუცესი ედგა სათავეში.

#### ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ. აბაშმაძე, ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოქცევებთან ისტორიიდან. — თბ., 1969.
2. გ. აკოფაშვილი, ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან XI-XII სს. საქართველოში. — თბ., 1984.
3. ილ. ანთელავა, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში. — თბ., 1983.
4. ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში. — საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III. — თბ., 1966.
5. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VII. — თბ., 1974.
6. დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიაშვილმა, ე. დოლაძემ, ე. გიუნაშვილმა, გ. ნინუამ. — თბ., 1975.
7. ა. ვაჩიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტ. II. — თბ., 1948.
8. პ. ინგოროყვა, რუსთველიანის ეპილოგი, თბ. ტ. I. — თბ., 1963.
9. მ. კეკელია, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე, წ. I (ქართლ-კახეთის სამეფო). — თბ., 1970.
10. რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი. — თბ., 1986.
11. რ. მეტრეველი, დეკლასირებული ელემენტები შუა საუკუნეების საქართველოში (V-XII სს.). — თბ., 1976.
12. ჯ. სტეფანაძე, საქართველო XII საუკუნესა და XIII საუკუნის პირველ მეოთხედში. — თბ., 1985.
13. ი. ფუტყარაძე, სააჯო კარი. — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 8. — თბ., 1984.
14. ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1955, ტ. IV, თბ., 1973.
15. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ე. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, — თბ., 1984.
16. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. — თბ., 1965.
17. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, ი. დოლიძის რედ. — თბ., 1981.
18. ქართული სამართლის ძეგლები, ივ. სურგულაძის რედ. — თბ., 1970.
19. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წ. II, — ტფილისი, 1897.
20. სეხნია ჩხეიძე, მეფეთა ცხოვრება. — ქართლის ცხოვრება, დ. ჩუბინაშვილის რედ., ნაწ. II, 1854.

21. წიგნი სააქიმოჲ, ლ. კოტეტიშვილის რედ. — ტფ., 1936.
22. ე. ხოშტარია-ბროსე, სამართლის ისტორიის ზოგიერთი საკითხი „ქართლის ცხოვრებაში“, მაცნე (ეკონომიკისა და სამართლის სერია), № 2, 1987.
23. ველმწიფის კარის გარიგება, ექ. თაყაიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით. — ტფ., 1920.
24. ველმწიფის კარის გარიგება. — ხელნაწერთა ინსტიტუტი, II — 3094.
25. ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. VI. — თბ., 1982.
26. ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. VII. — თბ., 1984.
27. Корецкий В. М. Лекции по истории государства и права. — М., 1947.
28. Лифшиц Е. Э. Право и суд в Византии в IV—VIII вв. — Л., 1976.
29. Песни о Гильоме Оранжем, изд. подготовили Ю. Б. Корнеев и А. Д. Михайлов. — М., 1985.
30. Покровский И. А. Лекции по истории римского права, 2-е изд. — С-Петербург, 1905.
31. М. А. Чельцов-Бebutov. Курс советского уголовно-процессуального права, т. I. — М., 1957.
32. Carter A. T. A History of English Legal Institutions. Third ed.—London, 1906
33. Potter H. An Historical Introduction to English Law and its Institutions. Second ed.—London, 1943.

С. А. ГОГИНАВА

## О ТОЛКОВАНИИ ОДНОГО МЕСТА «РАСПОРЯДКА ЦАРСКОГО ДВОРА» («СААДЖО ҚАРИ»)

Резюме

В работе исследован вопрос о таком важном государственно-правовом установлении Всегрузинской феодальной монархии (XI—XIV вв.), как «сааджо қари» — просительный, жалобный двор, который вызывал и вызывает большой интерес среди историков и историков-правоведов. Тщательно исследовав довольно скудные, к сожалению, данные первоисточников об этом интереснейшем институте, автор приходит к заключению, что «сааджо қари» — это действовавший при царе суд по гражданским спорам (в частности, по делам вдов, сирот и притесненных); он состоял в ведении мцигнбартухуцеса — великого канцлера.

В статье показан процесс судопроизводства в «сааджо қари». Отмечено, что по каждому делу решение представлялось на рассмотрение и утверждение царю. Этот вид процесса находит своего рода продолжение в позднегрузинском судопроизводстве; отмечаются известные параллели и в средневековой иностранной судопроизводственной практике.

Автор придерживается также мнения, что «сааджо қари» было не только собственно судебным учреждением, но и канцелярией царской юстиции в целом и, значит, частью государственной канцелярии.

წარმოადგინა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის განყოფილებამ.

## რეცენზია, ინფორმაცია, ქრონიკა

მადლობა კონკრეტული და კონსტრუქციული კრიტიკისათვის

გასულ წელს ჩვენს ჟურნალში დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და საბარტლის ინსტიტუტის სახელმწიფოსა და საბარტლის კვლევის ცენტრის სახელმწიფო და საერთაშორისო საბარტლის განყოფილების გამვის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ი. ფუტყარაძის ვრცელი რეცენზია „სახელმძღვანელო სერიოზული შეცდომებით“ („საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“, ეკონომიკისა და საბარტლის სერია, 1988, № 4, გვ. 82—98).

რეცენზიაში გაკრიტიკებულია პ. გურუევის, გ. დავიდოვისა და ე. მელნიკოვას ავტორობით მოცემული სასკოლო სახელმძღვანელო „საბჭოთა სახელმწიფოსა და საბარტლის საფუძვლები“ (გ. დავიდოვის რედაქციით, მოსკოვი, გამომცემლობა „პროსვეშენიე“, 1987 წ.). რეცენზენტი განიხილავს ნაკლოვანებებს, რომლებიც სახელმძღვანელოს ქართული თარგმანის რედაქციებისას გამოვლინდა (რუსული გამოცემა განკუთვნილია VIII კლასის სახელმძღვანელოდ, ქართული კი IX კლასისთვისაა). სახელმძღვანელოში დაშვებულია მიუტევებელი შეცდომები, რომლებიც უმართებულო, დამახინჯებულ წარმოდგენას ქმნიან ცალკეული საკითხების შესახებ და საგრძობლად აფერხებენ საბარტლებრივ დებულებათა შეთვისებას. სწორედ ამიტომ იყო, რომ ქართულ თარგმანს დაერთო სათანადო შენიშვნა-განმარტებანი (იხ. სახელმძღვანელოს ქართული გამოცემა, მთარგმნელი ლუიზა ფუტყარაძე, რედაქტორი იაკობ ფუტყარაძე, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1988).

რეცენზენტი საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საბჭოთა სახელმწიფოსა და საბარტლის საფუძვლების სწავლება სარეცენზიო სახელმძღვანელონ მიხედვით, მისი საფუძვლიანი გადამუშავების გარეშე, დაუშვებელია.

გამომცემლობა „პროსვეშენიე“ საქმიანად, გულისყურით მოეცა რეცენზიას, მასში გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს და გაიზიარა განსახილველი სახელმძღვანელოს ავკარგიანობის რეცენზენტისეული შეფასება. აღსანიშნავია, რომ გამომცემლობამ ხელი აიღო სახელმძღვანელოს ხელახალ გამოცემაზე (გამომცემლობა „განათლება“ ახალი გამოცემისათვის „პროსვეშენიესაგან“ უკვე მიღებული ჰქონდა დიდი დამატებითი მასალა, რომელიც სახელმძღვანელოს რამდენიმე ათეულ გვერდს შეეხებოდა).

ქვევით ვებჭდავთ გამომცემლობა „პროსვეშენიეს“ დირექტორის დ. ზ. უევის წერილს, რომელიც მან ჩვენს პუბლიკაციისთან დაკავშირებით 1989 წლის 20 ივნისს რეცენზენტს — ი. ფუტყარაძეს გამოუგზავნა.

Уважаемый тов Я. В. Путкардидзе!

Мы внимательно ознакомились с Вашей рецензией «Учебник с серьезными изъянами» («Основы Советского государства и права»

под ред. Г. П. Давидова, М., «Просвещение», 1987) и выражаем Вам признательность за конкретную и конструктивную критику и предложения по содержательной и фактологической сторонам учебника.

Рецензия обсуждена на собрании редакторского состава редакции истории, где, в частности, была отмечена необходимость более тщательной подготовки и проверки публикуемых материалов, особенно в части, касающейся конкретных норм Советского законодательства.

Сообщаем, что в настоящее время редакцией подготовлено учебное пособие «Советское право. Материалы к курсу «Основы Советского государства и права» под ред. Н. А. Сыродоева, которое в 1989—90 учебном году заменит критикуемый Вами учебник пор ред. Г. П. Давыдова.

Директор издательства «Просвещение» Д. Д. Зуев

დ. შიხიძის

649/192

ფასი 85 კპ.

ინდექსი

76196



საქართველოს  
ხელმოწერა

ISSN 0206-569X, Изв. АН ГССР, сер. экономика и права, т. III, № I-II